



# ქ. ბათუმის 2015 წლის ბიუჯეტი შესრულების ანგარიში





## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 დეკემბრის №46 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25/02/2015 №4; 19/03/2015 №6; 30/05/2015 №11; 29/05/2015 №12; 02/07/2015 №16; 01/09/2015 №19; 20/10/2015 №29; 27/11/2015 №30; 25/12/2015 №34 დადგენილებებით.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 113,499.2 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 116,648.5 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 143,695.2 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 136,656.7 ათასი ლარი. ბიუჯეტით დაგეგმილ პროექტებზე გათვალისწინებული თანხები, რომელთა დაფინანსება 2015 წელს არ განხორციელდა, დატოვებული იქნა ქ. ბათუმის საბიუჯეტო ანგარიშზე და გათვალისწინებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს.

2015 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება. ქალაქში ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად საბიუჯეტო დაფინანსების ძირითად პრიორიტეტს ასევე სკოლამდელი განათლების, კულტურისა და სპორტის სფერო და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები - 21,363.1 ათასი ლარი;
- კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები - 39,457.0 ათასი ლარი;
- ქალაქის კეთილმოწყობის პროგრამები - 8,014.7 ათასი ლარი;
- განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამები - 8,930.0 ათასი ლარი;
- სკოლამდელი განათლების პროგრამები - 10,385.6 ათასი ლარი;
- უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამები - 50.1 ათასი ლარი;
- უცხოეთში სტაჟირების პროგრამები - 27.6 ათასი ლარი;
- სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამები - 6,647.8 ათასი ლარი;
- კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამები - 9,662.8 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის პროგრამები - 219.8 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები - 3,154.1 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები - 5,821.3 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების ხარჯების დაფინანსება (8,715.9 ათასი ლარი),

დასახელება		2015 წლის მესამე	2015 წლის მესამე	მესრულება-ის %
შემოსავლები		112,199.2	115,022.2	102.5%
გადამახდებელი		18,350.0	18,819.4	102.6%
გრანტები		63,785.7	63,170.7	99.0%
სხვა შემოსავლები		30,063.5	33,032.1	109.9%
ბარჯები		81,264.1	78,667.6	96.8%
შრომის ანაზღაურება		18,110.5	17,672.9	97.6%
საქონლის და მისამართის		29,548.6	28,583.5	96.7%
პროცენტები		2,666.7	2,586.9	97.0%
სუბსიდიები		14,669.3	14,473.2	98.7%
გრანტები		1,833.7	1,830.5	99.8%
სოციალური უზრუნველყოფა		6,234.2	5,855.0	93.9%
სხვა ბარჯები		8,201.1	7,665.6	93.5%
საზღვრისგარეშე		30,935.1	36,354.7	117.5%
აგრანტიანი აქტივების გვირგვინი		48,453.4	44,099.6	91.0%
ზრდა		49,753.4	45,725.8	91.9%
კლება		1,300.0	1,626.2	125.1%
შთისანი სალდო		-17,518.3	-7,744.9	44.2%
ფინანსური აქტივების გვირგვინი		-28,167.0	-17,979.2	-
ზრდა		2,029.0	3,040.4	-
შრომის ანაზღაურება		0.0	1,011.4	-
გადახდილი		2,029.0	2,029.0	-
კლება		30,196.0	21,019.6	-
გადახდილი		30,196.0	21,019.6	-
გადახდილი		-10,648.7	-10,234.3	96.1%
კლება		10,648.7	10,234.3	96.1%
საშინაო		10,648.7	10,234.3	96.1%
ბალანსი		0.0	0.0	

(ათასობით)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბალანსი

ქ. ბათუმის 2015 წლის ბიუჯეტის მარჯვენა მხარე

ნაწილობრივ დასრულებული შემოსავლები (12,366.1 ათასობით), ქვეყნის თავდაცვითი შემოსავლები (14.7 ათასობით), საგარეო, საგარეო და სხვა შემოსავლები (1,826.0 ათასობით).





ქ. ბათუმის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათასი ლარი)

დასახელება	2015 წლის გეგმა	2015 წლის შესრულება	შესრულების %
შემოსულობები	113,499.2	116,648.5	102.8%
შემოსავლები	112,199.2	115,022.2	102.5%
არაფინანსური აქტივების კლება	1,300.0	1,626.2	125.1%
გადასახდელები	143,695.2	136,656.7	95.1%
ხარჯები	81,264.1	78,667.6	96.8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	49,753.4	45,725.8	91.9%
ფინანსური აქტივების ზრდა	2,029.0	2,029.0	100.0%
ვალდებულებების კლება	10,648.7	10,234.3	96.1%
ნაშთის ცვლილება	-30,196.0	-20,008.2	



## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობები


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 116,648.5 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2015 წლის გეგმიური მაჩვენებლის 102.8%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 18,819.4 ათასი ლარი (შემოსულობების 16.1%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 63,170.7 ათასი ლარი (შემოსულობების 54.2%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე – 33,032.1 ათასი ლარი (შემოსულობების 28.3%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 1,626.2 ათასი ლარი (შემოსულობების 1.4%).

### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

(ათასი ლარი)

№	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
<b>1</b>	<b>შემოსავლები</b>	<b>115,022.2</b>	<b>98.6%</b>
1.1	გადასახადები	18,819.4	16.1%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	63,170.7	54.2%
1.3	სხვა შემოსავლები	33,032.1	28.3%
<b>2</b>	<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>1,626.2</b>	<b>1.4%</b>
<b>ჯამი</b>		<b>116,648.5</b>	<b>100%</b>

### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები






შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

(ათასი ლარი)

№	შემოსულობების დასახელება	2015 წლის გეგმა	2015 წლის შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	შემოსავლები	112,199.2	115,022.2	2,823.0	102.5%
1.1	გადასახადები	18,350.0	18,819.4	469.4	102.6%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	63,785.7	63,170.7	-615.0	99.0%
1.3	სხვა შემოსავლები	30,063.5	33,032.1	2,968.6	109.9%
2	არაფინანსური აქტივების კლება	1,300.0	1,626.2	326.2	125.1%
<b>ჯამი</b>		<b>113,499.2</b>	<b>116,648.5</b>	<b>3,149.3</b>	<b>102.8%</b>

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება გეგმასთან მიმართებაში






ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის  
შემოსულობების დინამიკა

(ათასი ლარი)



№	დასახელება	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი
1	შემოსავლები	122,075.8	160,594.2	202,436.4	151,423.9	87,607.8	117,242.4	115,022.2
1.1	გადასახადები	7,973.8	10,547.3	11,918.1	12,619.0	11,628.1	13,937.5	18,819.4
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	106,279.9	137,290.6	176,229.6	116,363.9	54,416.5	76,387.1	63,170.7
1.3	სხვა შემოსავლები	7,822.1	12,756.3	14,288.7	22,441.0	21,563.2	26,917.8	33,032.1
2	არაფინანსური აქტივების კლება	2,135.0	9,043.9	6,682.4	13,680.9	553.4	362.6	1,626.2
	<b>სულ ჯამი</b>	<b>124,210.8</b>	<b>169,638.1</b>	<b>209,118.8</b>	<b>165,104.8</b>	<b>88,161.2</b>	<b>117,605.0</b>	<b>116,648.5</b>

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის  
შემოსულობების დინამიკა





### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების დინამიკა







### შემოსავლები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 112,199.2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 115,022.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102.5%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

### გადასახადები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 18,819.4 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის – 18,350.0 ათასი ლარის 102.6%-ია. თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 16.1%-ს.

### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)

№	შემოსავლის სახე	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2015 წლის ფაქტი	შესრულება			
										2015 წ. გეგმასთან		2014 წ. ფაქტთან	
										გადახრა (ათ. ლარი)	%	გადახრა (ათ. ლარი)	%
1	ქონების გადასახადი	7,579.1	10,507.6	11,911.0	12,616.3	11,625.3	13,936.5	18,350.0	18,820.2	470.2	102.6%	4,883.7	135.0%
1.1	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი	122.7	262.4	544.7	673.8	792.8	861.8	920.0	1,117.8	197.8	121.5%	255.9	129.7%
1.2	საწარმოთა ქონების გადასახადი	6,200.4	8,639.1	10,080.9	10,934.3	9,519.7	11,376.5	16,130.0	16,322.4	192.4	101.2%	4,945.9	143.5%
1.3	მიწის გადასახადი	1,256.0	1,606.1	1,285.4	1,008.2	1,312.9	1,698.2	1,300.0	1,380.1	80.1	106.2%	-318.1	81.3%
2	სხვა გადასახადები	394.7	39.7	7.1	2.7	2.7	1.0		-0.8	-0.8	-	-1.8	-81.1%
<b>სულ</b>		<b>7,973.8</b>	<b>10,547.3</b>	<b>11,918.1</b>	<b>12,619.0</b>	<b>11,628.1</b>	<b>13,937.5</b>	<b>18,350.0</b>	<b>18,819.4</b>	<b>469.4</b>	<b>102.6%</b>	<b>4,882.0</b>	<b>135.0%</b>

საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქონების გადასახადი – საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ქონების გადასახადი აერთიანებს საწარმოთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადს (გარდა მიწისა) და მიწაზე ქონების გადასახადს. ქონების გადასახადის 2015 წლის გეგმიური მაჩვენებელი 18,350.0 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ 18,820.2 ათასი ლარი შეადგინა რაც გეგმის 102.6%-ია.



ქონების გადასახადის ცალკეული სახეობის მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2015 წლის გეგმა	2015 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება %
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	18,350.0	18,820.2	470.2	102.6%
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	16,130.0	16,322.4	192.4	101.2%
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	920.0	1,117.8	197.8	121.5%
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,300.0	1,380.1	80.1	106.2%

საწარმოთა ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 16,130.0 ათასი ლარით. ფაქტიურად მობილიზებული იქნა 16,322.4 ათასი ლარი. რაც გეგმის 101.2%-ია.

ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის სახით დაგეგმილი იყო 920.0 ათასი ლარის მობილიზება, ფაქტიურად მიღებული იქნა 1,117.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 121.5%-ია.

მიწაზე ქონების გადასახადი მობილიზებული იქნა 1,380.1 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (1,300.0 ათასი ლარი) 106.2%-ია.


(ათასი ლარი)

№	დასახელება	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი
1	სულ ქონების გადასახადი, მათ შორის:	7,579.1	10,507.6	11,911.0	12,616.3	11,625.3	13,936.5	18,820.2
1.1	საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	6,200.4	8,639.1	10,080.9	10,934.3	9,519.7	11,376.5	16,322.4
1.2	ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	122.7	262.4	544.7	673.8	792.8	861.8	1,117.8
1.3	მიწაზე ქონების გადასახადი	1,256.0	1,606.1	1,285.4	1,008.2	1,312.9	1,698.2	1,380.1

ქონების გადასახადის 2015 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2014 წლის შესრულების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 4,883.7 ათასი ლარით (35.0 %-ით) გაზრდილია. ქონების გადასახადი საინვესტიციო მასშტაბების ინდიკატორია.




### ქონების გადასახადის სტრუქტურა




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქონების გადასახადი ბიუჯეტში არათანაბარი სიდიდით აისახებოდა, რომლის ფაქტიური მობილიზაციაც ცალკეული თვეების მიხედვით შემდეგია:

### ქონების გადასახადის შესრულება ცალკეული თვეების მიხედვით






**ქონების გადასახადის შესრულება ცალკეული თვეების მიხედვით  
 (ნაზარდი ჯამით)**



**ქონების გადასახადის შესრულების დინამიკა ცალკეული  
 თვეების მიხედვით 2009-2015 წლები (ნაზარდი ჯამით)**



სხვა გადასახადები - აღნიშნული გადასახადიდან 2015 წელს უკან დაბრუნებულ იქნა 0,8 ათასი ლარი, რომელიც წინა წლებში გადახდილი გაუქმებული ადგილობრივი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებია.



### ფინანსური დახმარება და გრანტები

2015 წლის განმავლობაში ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 63,170.7 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 63,785.7 ათას ლარს, სხვაობა შეადგენს -615.0 ათას ლარს. რომელიც ტრანსფერების ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების შემდეგ დარჩენილი ეკონომიის და სამუშაოების მომდევნო წელში გადატანის შედეგად დარჩენილი თანხაა და რომელის მიღებაც ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისად არ მომხდარა.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან გათანაბრებითი ტრანსფერი შეადგენს 52,542.3 ათას ლარს, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული ფინანსური სახსრები შეადგენს 893.8 ათას ლარს, ასევე, სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2015 წელს მიღებული იქნა 946.8 ათასი ლარი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 8,787.8 ათას ლარს შეადგენს.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების წილი 54.2%-ია.

(ათასი ლარი)

№	დასახელება	2015 წლის გეგმა	2015 წლის შესრულება	გადახრა
1	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	63,785.7	63,170.7	615.1
1.1	გათანაბრებითი ტრანსფერი	52,542.3	52,542.3	0.0
1.2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	9,304.4	8,787.8	516.6
	კაპიტალური ტრანსფერი	9,275.0	8,758.4	516.6
	სპეციალური ტრანსფერი	29.4	29.4	0.0
1.3	სპეციალური ტრანსფერი	1,939.0	1,840.6	98.4
	მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	1,000.0	893.8	106.2
	სხვა სპეციალური ტრანსფერი	939.0	946.8	-7.8
	<b>ჯამი</b>	<b>63,785.7</b>	<b>63,170.7</b>	<b>615.1</b>

*საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული სახსრები*





ქ. ბათუმის ბიუჯეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის №141 განკარგულების შესაბამისად, 2014 წლის სექტემბრის თვეში ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოყოფილი იქნა 1,000.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე ჩაირიცხა 893.8 ათასი ლარი (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით).

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან  
მიღებული სახსრები**

2015 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 8,787.8 ათასი ლარი, მათ შორის:

- კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად 8,758.4 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2015 წლის 8 აპრილის №92 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩა მე-9 შესახვევის #38-ში მცხოვრები ხანძრის შედეგად დაზარალებული თამარა ცეცხლადის ოჯახისათვის და ქ. ბათუმში, ოპიზრბის ქუჩა #29-ში მცხოვრები ხანძრის შედეგად დაზარალებული გოჩა დავითაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით - 13.4 ათასი ლარი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2015 წლის 21 ივლისის №234 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან, ქ. ბათუმში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა #77-ში მცხოვრები, ხანძრის შედეგად დაზარალებული არჩილ ხალვაშის (პ/ნ 61009005395) ოჯახისათვის (8 000 (რვა ათასი) ლარი) და ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩა #190-ში მცხოვრები, ხანძრის შედეგად დაზარალებული ეთერ შაინიძის (პ/ნ 61006015005) ოჯახისათვის (8 000 (რვა ათასი) ლარი) დახმარების გაწევის მიზნით - 16.0 ათასი ლარი.

(ათასი ლარი)



№	საფუძველი	შინაარსი	გამოყოფილი თანხა	ჩამორიგებული თანხა	სხვაობა
1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის დამტკიცებული რესპუბლიკური ბიუჯეტი (ჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 16 იანვრის №7 განკარგულება)	ზ. გორგილაძის ქუჩის გაგრძელება ჯავახიშვილის ქუჩიდან შარტავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიამდე, ზ. გორგილაძის ქუჩის მონაკვეთის (გრიბოედოვის ქუჩიდან ჯავახიშვილის ქუჩამდე) კეთილმოწყობა	1,227.8	1,227.8	0.0
		საბავშვო ბაღების შენობების კაპიტალური რემონტი (№16, №17, №23 და №24 საბავშვო ბაღები)	784.3	784.2	0.1
		ქუჩების გარე განათების სამუშაოები	200.0	200.0	0.0
		სპორტული მოედნების მშენებლობა (2 ერთეული)	250.0	250.0	0.0
		დაბა ჩაქვი ქალაქ ბათუმისათვის ახალი სასაფლაოს ინფრასტრუქტურის შექმნა	1,100.5	720.5	380.0
		ალმაშენბლისა და გენერალ აბაშიძის, ალმაშენბლისა და ტბელ აბუსერიძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის უბნის სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია	1,109.6	1,047.6	62.0
		ალმაშენბლისა და გენერალ აბაშიძის, ალმაშენბლისა და ტბელ აბუსერიძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის უბნის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია	1,512.1	1,468.0	44.1
		მესხეთის ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობა	413.4	413.4	0.0
		ჯავახიშვილის ქუჩის (მ.შ შესახვევების) კეთილმოწყობა	573.8	573.8	0.0
		ხახულის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხის კალაპოტის ამოწმენდა-რეაბილიტაცია	281.4	281.3	0.1
		მეჯინისწყლის კალაპოტის ამოწმენდა-რეაბილიტაცია	970.0	939.6	30.4
ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების კეთილმოწყობის პირველი ეტაპი	852.1	852.1	0.0		
2	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2015 წლის 8 აპრილის №92 ბრძანება	ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩა მე-9 შესახვევის №38-ში მცხოვრები ხანძრის შედეგად დაზარალებული თამარა ცეცხლადის ოჯახისათვის და ქ. ბათუმში, ოპიზრბის ქუჩა №29-ში მცხოვრები ხანძრის შედეგად დაზარალებული გოჯა დავითაძის ოჯახისათვის დახმარების გაწევის მიზნით	13.4	13.4	0.0
3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2015 წლის 21 ივლისის №234 ბრძანება	ქ. ბათუმში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა №77-ში მცხოვრები, ხანძრის შედეგად დაზარალებული არჩილ ხალვაშის (პ/ნ 61009005395) ოჯახისათვის (8 000 (რვა ათასი) ლარი) და ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის ქუჩა №190-ში მცხოვრები, ხანძრის შედეგად დაზარალებული ეთერ შაინიძის (პ/ნ 61006015005) ოჯახისათვის (8 000 (რვა ათასი) ლარი) დახმარების გაწევის მიზნით	16.0	16.0	0.0
<b>ჯამი</b>			<b>9,304.4</b>	<b>8,787.8</b>	<b>516.6</b>





## სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით მიღებული სახსრები

სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით ქ. ბათუმის ბიუჯეტში მიღებული იქნა 946.8 ათასი ლარი. რომლიდანაც 939.0 ათასი ლარი მიღებულ იყო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ (II ფაზა და III ფაზა) პროექტის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW), საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით, ხოლო 7.9 ათასი ლარი ჩამოირიცხა 2015 წლის 30 დეკემბერს რისი დაზუსტებაც 2015 წლის ბიუჯეტში არ განხორციელებულა შესაბამისად დატოვებული იქნა ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე, რომლის გადახდაც განხორციელდება 2016 წელს.

### სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების 2015 წლის საპროგნოზო მოცულობა 30,063.5 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 33,032.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 109.9%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 28.3%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 3,347.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2,995.0 ათასი ლარი) 111.8%-ია. მათ შორის:

- პროცენტებიდან მობილიზებულია 2,430.0 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- რენტის სახით მიღებულია 917.7 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 284.9 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 632.8 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 22,932.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (21,250.0 ათასი ლარი) 107.9%-ია. აქედან:

- ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით – 22,927.1 ათასი. მათ შორის:

- მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) – 525.1 ათასი ლარი. კერძოდ, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მონაცემებით 2015 წლის განმავლობაში გაიცა 1122 მშენებლობის ნებართვა.


- საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი – 3.5 ათასი ლარი;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 3.4 ათასი ლარი;



- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 20,167.5 ათასი ლარი, მათ შორის:  
სათამაშო აპარატებიდან – 10,653.6 ათასი ლარი;  
სამორინეს მაგიდიდან – 8,546.9 ათასი ლარი;  
სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან – 690.0 ათასი ლარი;  
წამახალისებელი გათამაშებიდან – 246.5 ათასი ლარი;  
კლუბის მაგიდიდან - 30.0 ათასი ლარი;  
სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 0.5 ათასი ლარი;

**სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელიდან ქ. ბათუმის ბიუჯეტში  
2015 წელს მიღებული თანხები**



- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მობილიზებული იქნა 1,540.0 ათასი ლარის ოდენობით, სხვა შემოსავლების აღნიშნულ სახელში გეგმის შესრულებას დააკლდა -460.0 ათასი ლარი. 2015 წელს მოსაკრებლის ადმინისტრირების მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია, განხორციელდა მოსაკრებლის გადამხდელთა ინვენტარიზაცია, მიმდინარეობს ბაზის მომზადების და გადახდის ეფექტური მექანიზმების შემუშავება.

- ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის – 687.5 ათასი ლარი;

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 5.8 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავალს (ძირითადად შენობა-ნაგებობების იჯარიდან მიღებულ შემოსავალს).



სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 4,901.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4,350.0 ათასი ლარის) 112.7%-ია. მათ შორის:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში - 202.0 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში - 414.9 ათასი ლარი;

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის - 2,593.2 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) უბილეთო მგზავრობის გამო - 46.1 ათასი ლარი;

სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში - 817.2 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 114.3 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 65.1 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 20.4 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის, განათლებისა და აღზრდის სფეროში - 1.0 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 260.0 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ვაჭრობისა და ფინანსების დარგში - 41.0 ათასი ლარი;

დასუფთავების წესების დარღვევის გამო - 2.6 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 9.3 ათასი ლარი;

თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების გამო - 1.0 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო სოფლის მეურნეობაში, ვეტერინალურ - სანიტარული წესების დარღვევა - 0.4 ათასი ლარი;

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო - 5.0 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან - 308.0 ათასი ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მიღებულია 1,849.9 ათასი ლარი. შემოსავლის აღნიშნულ სახეში გეგმა 1,468.5 ათას ლარს შეადგენდა. ფაქტიურად მობილიზებული იქნა გეგმის 112.3%. შემოსავლის აღნიშნული სახე აერთიანებს:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებულ შემოსავალს - 258.3 ათასი ლარი;



შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 1,026.6 ათასი ლარი;

წინა წელს გამოუყენებული და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 38.6 ათასი ლარი;


შემოსავალი სხვა მართვის უფლების გადაცემიდან - 278.8 ათასი ლარი;

ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვიდან მიღებულ საფასურს - 38.0 ათასი ლარი;

მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებულ შემოსავალს - 3.1 ათასი ლარი;

სხვა დანარჩენ არაკლასიფიცირებულ შემოსავლებს - 206.4 ათასი ლარი;

### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა



- შემოსავლები საკუთრებიდან
- საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია
- ჯარიმები, სანქციები და საურავები
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

(ათასი ლარი)

დასახელება	2015 წლის გეგმა	2015 წლის შესრულება	გადახრა
სხვა შემოსავლები	<b>30,063.5</b>	<b>33,032.1</b>	<b>2,968.6</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	<b>2,995.0</b>	<b>3,347.7</b>	<b>352.7</b>
პროცენტები	<b>2,170.0</b>	<b>2,430.0</b>	<b>260.0</b>
რენტა	<b>825.0</b>	<b>917.7</b>	<b>92.7</b>
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	200.0	284.9	84.9
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართველი (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	625.0	632.8	7.8
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	<b>21,250.0</b>	<b>22,932.9</b>	<b>1,682.9</b>
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	<b>21,250.0</b>	<b>22,927.1</b>	<b>1,677.1</b>
სანებართვო მოსაკრებელი	350.0	525.1	175.1
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	3.5	3.5
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	3.4	3.4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	17,900.0	20,167.5	2,267.5
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2,000.0	1,540.0	-460.0
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	1,000.0	687.5	
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	<b>0.0</b>	<b>5.8</b>	<b>5.8</b>
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან		5.8	5.8
ჯარიმები, სანქციები და საურავები	<b>4,350.0</b>	<b>4,901.6</b>	<b>551.6</b>
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	<b>1,468.5</b>	<b>1,849.9</b>	<b>381.4</b>




ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა

(ათასი ლარი)

დასახელება	2009 წლის ფაქტი	2010 წლის ფაქტი	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი
სხვა შემოსავლები	7,822.1	12,756.3	14,288.7	22,440.9	21,563.2	26,917.8	33,032.1
შემოსავლები საკუთრებიდან	910.8	1,790.3	2,797.9	7,896.3	3,824.3	3,243.4	3,347.7
პროცენტები	543.1	1,392.1	1,925.9	6,980.4	3,025.4	2,639.4	2,430.0
რენტა	367.7	398.2	872.0	915.9	798.9	604.1	917.7
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	80.5	164.6	291.1	283.1	268.8	102.2	284.9
სეზონური სიჩქარის და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა)	287.2	233.6	580.9	632.8	530.2	501.9	632.8
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	5,039.0	7,309.5	8,635.0	9,995.8	11,702.6	16,340.6	22,932.9
ადგილობრივი მოსაკრებელი და	4,946.3	7,267.7	8,620.2	9,990.2	11,696.8	16,334.3	22,927.1
სანებართვო მოსაკრებელი	217.8	372.8	215.4	373.9	361.0	468.9	525.1
სახელმწიფო ბაჟი	4.5	2.0					
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.4	0.5	0.9	1.4	1.4	1.9	3.5
სატენდერო მოსაკრებელი	38.2	55.6					
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.4	2.2	13.2	10.2	11.4	5.0	3.4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	3,620.8	5,914.4	7,338.5	7,976.6	9,544.7	13,644.9	20,167.5
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის						943.5	687.5
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1,064.2	920.2	1,042.6	1,605.6	1,755.9	1,270.1	1,540.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი		0.0	9.56	22.50	22.50		
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	92.7	41.8	14.8	5.6	5.8	6.3	5.8
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან და საქონლის რეალიზაციიდან	92.7	41.8	14.8	5.6	5.8	6.3	5.8
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,266.7	2,297.4	2,370.6	3,188.1	4,906.3	4,871.8	4,901.6
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	605.6	1,359.1	485.2	1,360.7	1,130.0	2,462.0	1,849.9



### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების დინამიკა



სხვა შემოსავლების 2015 წლის ფაქტიური შესრულების მაჩვენებელი 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 6,114.3 ლარით აღემატება. პროცენტულ გამოხატულებაში ზრდა წინა წელთან შედარებით 22.7%-ს შეადგენს.

#### არაფინანსური აქტივების კლება

2015 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 1,626.2 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (1,300.0 ათასი ლარის) 125.1%-ია. შემოსავლის აღნიშნული სახის წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში შეადგენს 1.4%-ს. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, საიდანაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული იქნა 1,318.0 ათასი ლარი, ასევე შენობა ნაგებობების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს – 242.4 ათასი ლარი, ხოლო 65.8 ათასი ლარი მიწაზე უფლების აღიარებიდან მიღებული შემოსავალია.



### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 34,195.1 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების გეგმიური მაჩვენებელი განისაზღვრა -30,196.0 ათასი ლარით (კლება). აღნიშნული მოიცავს ფინანსურ აქტივებს, მიმართული ხარჯების დასაფარავად წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან. ხოლო ფაქტიური მაჩვენებელი შეადგინა -20,008.2 ათასი ლარი, შესაბამისად 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბიუჯეტო ანგარიშზე ნაშთი 14,186.9 ათას ლარს შეადგენდა.

დასახელება	2015 წლის გეგმა	2015 წლის შესრულება
ნაშთი 01.01.2015		34,195.1
ნაშთის ცვლილება	-30,196.0	-20,008.2
ზრდა		1,011.4
ვალუტა და დეპოზიტები		1,011.4
კლება	30,196.0	21,019.6
ვალუტა და დეპოზიტები	30,196.0	21,019.6
ნაშთი 01.01.2016		14,186.9






### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში  
ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხილეთ დიაგრამა):

ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში






ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და  
 არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

(ათასი ლარი)

№	გადასახდელის დასახელება	გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	11,758.4	11,282.6	96.0%	9.1%
1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	9,091.7	8,695.7	95.6%	7.0%
1.2	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	2,666.7	2,586.9	97.0%	2.1%
2	თავდაცვა	17.5	14.7	84.0%	0.01%
3	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1,826.0	1,826.0	100.0%	1.47%
4	ეკონომიკური საქმიანობა	24,220.1	22,667.7	93.6%	18.2%
4.1	ტრანსპორტი	22,369.0	21,214.8	94.8%	17.1%
4.2	ეკონომიკის სხვა დარგები	239.5	228.0	95.2%	0.2%
4.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1,611.6	1,225.0	76.0%	1.0%
5	გარემოს დაცვა	17,617.4	17,274.1	98.1%	13.9%
5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	6,734.7	6,598.1	98.0%	5.3%
5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	10,882.7	10,676.0	98.1%	8.6%
6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	26,379.8	23,508.7	89.1%	18.9%
6.1	ბინათმშენებლობა	1,700.0	0.0	0.0%	0.0%
6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	8,553.2	7,950.4	93.0%	6.4%
6.3	წყალმომარაგება	9,555.5	9,326.0	97.6%	7.5%
6.4	გარე განათება	4,153.4	4,024.5	96.9%	3.2%
6.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	2,417.7	2,207.7	91.3%	1.8%
7	ჯანმრთელობის დაცვა	2,807.8	2,620.1	93.3%	2.1%
8	დასვენება, კულტურა და რელიგია	25,937.1	25,295.2	97.5%	20.3%
8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	15,941.8	15,412.6	96.7%	12.4%
8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	9,771.1	9,662.8	98.9%	7.8%
8.3	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	224.2	219.8	98.0%	0.2%
9	განათლება	14,393.1	14,083.6	97.8%	11.3%
10	სოციალური დაცვა	6,060.3	5,820.8	96.0%	4.7%
გადასახდელის ჯამი		131,017.5	124,393.4	94.9%	100.0%



### ქ. ბათუმის 2015 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში (გეგმა-ფაქტი)



საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2015 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 11,758.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 11,282.6 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 96.0%. ამ დარგში გაერთიანებულია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის (სარეზერვო ფონდი), ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯები და წინა პერიოდის დავალიანებების დაფარვის (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების) ხარჯები.

თავდაცვის სფეროსათვის გათვალისწინებული იყო 17.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 14.7 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 84%-ით, აღნიშნული სფერო მოიცავს რეზერვისტების და წვევამდებლების ტრასპორტირების ხარჯებს.

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოებაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1,826.0 ათასი ლარი რაც გეგმის (1,826.0 ათასი ლარი) 100%-ია, აღნიშნული ღონისძიება მოიცავს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დაფინანსებას.

ეკონომიკური საქმიანობისათვის დაგეგმილი იყო 24,220.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 22,667.7 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 93.6%. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 18.2%-ს. აღნიშნული სფერო მოიცავს გზების, ქუჩებისა და ტროტუარების კეთილმოწყობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვა და ექსპლოატაციის, მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარების, ტურისტული ობიექტების მართვის და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის პროგრამების დაფინანსებას.

გარემოს დაცვაზე გათვალისწინებული იყო 17,617.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 17,274.1 ათასი ლარი შეადგინა, ანუ გეგმის 98.1%. ამ სფეროში



გაერთიანებულია ქალაქის დასუფთავების და სანიაღვრე-საკანალიზაციო სისტემების სარეაბილიტაციო პროგრამებზე გაწეული ხარჯები. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 13.9%-ს.

საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გამოყოფილი სახსრების გეგმა, რომელშიც შედის ქალაქის ბინათმშენებლობის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და ტექნიკური ზედამხედველობის, ქალაქის დაგეგმარების, საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფის, ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამების, წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსების, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის, სანიტარული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების და ქალაქის გაფორმების, ასევე ბათუმის განვითარების ფონდის პროგრამების ხარჯები, შეადგენდა 26,379.8 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 23,508.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 89.1%-ია. ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 18.9%-ს.

ჯანმრთელობის სფეროს დაფინანსების მიზნით განსაზღვრული იყო 2,807.8 ათასი ლარი, გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 2,620.1 ათას ლარს, რაც დაგეგმილის 93.3%-ია.

დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების გეგმა შეადგენდა 25,937.1 ათას ლარს, ფაქტიურმა ხარჯებმა 25,295.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 97.5%-ია. მისი ხვედრითი წილი საერთო ხარჯებში შეადგენს 20.3%-ს. ამ სფეროში გაერთიანებულია ქალაქის პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობის, ქალაქის გამწვანების ღონისძიებები, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის, სპორტული ღონისძიებების, სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერის, სპორტულ-ახალგაზრდულის ცენტრის განვითარების პროგრამები, ასევე კულტურის სფეროში მომსახურების ხარჯები და რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის მხარდაჭერის პროგრამები.

განათლების სფეროზე გათვალისწინებული იყო 14,393.1 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 14,083.6 ათას ლარს, ანუ გეგმის 97.8%-ს. ამ დარგში გაერთიანებულია სკოლამდელი აღზრდის საფეხურის დაფინანსება, საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო ღონისძიებების ხარჯები, ასევე წარმატებულ სტუდენტთა მხარდაჭერის და ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობის პროგრამები.

სოციალურ დაცვაზე დაგეგმილი იყო 6,060.3 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულ იქნა 5,820.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.0%-ია.



**ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკურ ჭრილში**


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

(ათასი ლარი)


№	გადასახდელების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	შესრულების %	%-ლი წილი
I	ხარჯები	81,264.1	78,667.6	96.8%	57.6%
1	შრომის ანაზღაურება	18,110.5	17,672.9	97.6%	12.9%
2	საქონელი და მომსახურება	29,548.6	28,583.5	96.7%	20.9%
2.1	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1,042.8	1,029.0	98.7%	0.8%
2.2	მივლინებები	234.3	197.1	84.1%	0.1%
2.3	ოფისის ხარჯები	3,640.3	3,533.9	97.1%	2.6%
2.4	წარმომადგენლობითი ხარჯები	180.0	163.0	90.6%	0.1%
2.5	კვების ხარჯები	3,425.7	3,407.3	99.5%	2.5%
2.6	სამედიცინო ხარჯები	30.3	21.3	70.3%	0.0%
2.7	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	334.6	271.1	81.0%	0.2%
2.8	ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	655.3	589.6	90.0%	0.4%
2.9	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	20,005.4	19,371.2	96.8%	14.2%
3	პროცენტი	2,666.7	2,586.9	97.0%	1.9%
4	სუბსიდიები	14,669.3	14,473.2	98.7%	10.6%
5	გრანტები	1,833.7	1,830.5	99.8%	1.3%
6	სოციალური უზრუნველყოფა	6,234.2	5,855.0	93.9%	4.3%
7	სხვა ხარჯები	8,201.1	7,665.6	93.5%	5.6%
II	არაფინანსური აქტივების ზრდა	49,753.4	45,725.8	91.9%	33.5%
III	ფინანსური აქტივების ზრდა	2,029.0	2,029.0	100.0%	1.5%
IV	ვალდებულებების კლება	10,648.7	10,234.3	96.1%	7.5%
გადასახდელების ჯამი		143,695.2	136,656.7	95.1%	100%



### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ხარჯები (საკასო შესრულება - 136,656.7 ათასი ლარი)



### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის ხარჯები (საკასო შესრულება - 136,656.7 ათასი ლარი)



ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 78,667.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 81,264.1 ლარის 96.8%-ია, მისი ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში არის 57.6%.



შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 17,672.9 ათასი ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 12.9%,

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 28,583.5 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 20.9%-ია, მათ შორის:

*შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებამ შეადგინა 1,029.0 ათასი ლარი.*

*მივლინებები – 197.1 ათასი ლარი*

*ოფისის ხარჯები – 3,533.9 ათასი ლარი.*

*წარმომადგენლობით ხარჯები – 163.0 ათასი ლარი.*

*კვების ხარჯები - 3,407.3 ათასი ლარი.*

*სამედიცინო ხარჯები – 21.3 ათასი ლარი.*

*რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებით ხარჯები – 271.1 ათასი ლარი*

*ტრანსპორტისა და ტექნიკისა ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები – 589.6 ათასი ლარი.*

*სხვა დანარჩენ საქონელზე და მომსახურებაზე ხარჯებმა შეადგინა 19,371.2 ათასი ლარი.*

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 2,586.9 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 1.9%-ია.

სუბსიდიის სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 14,473.2 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 10.6%.

*გრანტებზე მიიმათა 1,830.5 ათასი ლარი, ხვედრითი წილი - 1.3%.*

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 5,855.0 ათასი ლარი, გადასახდელების მთლიანი მოცულობის – 4.3%.

სხვა ხარჯებზე მიიმათა 7,665.6 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 5.6%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 45,725.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 49,753.4 ათასი ლარის 91.9%-ია, მთლიანი გადასახდელების – 33.5%.

ფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 2,029.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია, გადასახდელების მთლიანი მოცულობის – 1.5%.

ვალდებულებების კლებაზე მიიმათა 10,234.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 10,648.7 ათასი ლარის 96.1%-ია. ხვედრითი წილი მთლიან გადასახდელებში – 7.5%.



**ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამულ კრილში**

პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის გადასახდელებს შემდეგი სახე აქვს:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა	შესრულების %
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	21,788.1	21,082.1	706.0	96.8%
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,660.0	1,587.4	72.6	95.6%
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	7,455.3	7,128.6	326.7	95.6%
01 03	სასესიო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	12,672.6	12,366.1	306.5	97.6%
01 05	სარეზერვო ფონდი	0.2		0.2	
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1,843.5	1,840.7	2.8	99.8%
02 01	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	17.5	14.7	2.8	84.0%
02 02	საგანგებო სიტუაციების მართვა	1,826.0	1,826.0		100.0%
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	83,163.0	77,764.8	5,398.2	93.5%
03 01	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება	22,647.5	21,363.1	1,284.4	94.3%
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	42,319.6	39,457.0	2,862.6	93.2%
03 03	ქალაქის კეთილმოწყობა	9,155.7	8,014.7	1,141.0	87.5%
03 04	განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია	9,040.2	8,930.0	110.2	98.8%
04 00	განათლება	10,698.4	10,463.2	235.2	97.8%
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	16,778.9	16,530.4	248.5	98.5%
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	6,783.6	6,647.8	135.8	98.0%
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	9,771.1	9,662.8	108.3	98.9%
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	224.2	219.8	4.4	98.0%
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	9,423.3	8,975.4	447.9	95.2%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	3,362.5	3,154.1	208.4	93.8%
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	6,060.8	5,821.3	239.5	96.0%
გადასახდელების ჯამი		143,695.2	136,656.7	7,038.5	95.1%





წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება  
(პროგრამული კოდი 01 00)

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (პროგრამული კოდი 01 01) ხარჯებმა შეადგინა 1,587.4 ათასი ლარი, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,660.0 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 95.6%. აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიძღრთა 1,097.3 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 345.0 ათასი ლარი, მათ შორის: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაიხარჯა 120.4 ათასი ლარი, მივლინებების ხარჯებზე - 20.7 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე - 101.7 ათასი ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე - 7.0 ათასი ლარი, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებზე - 0.4 ათასი ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯებზე - 87.4 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 7.3 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 20.4 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 109.4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 15.3 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (პროგრამული კოდი 01 02) ხარჯებმა შეადგინა 7,128.6 ათასი ლარი. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 7,455.3 ათას ლარს, ანუ შესრულებამ შეადგინა 95.6%. აქედან შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 4,385.1 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 1,551.2 ათასი ლარი, მათ შორის: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გაიხარჯა 150.6 ათასი ლარი, მივლინებების ხარჯებზე - 29.1 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებზე - 518.6 ათასი ლარი, წარმომადგენლობით ხარჯებზე - 45.5 ათასი ლარი, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებზე - 10.9 ათასი ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯებზე - 205.9 ათასი ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე - 590.5 ათასი ლარი, გრანტებზე - 4.5 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე - 196.5 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 15.3 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 955.7 ათასი ლარი, ვალდებულებების კლებაზე - 20.3 ათასი ლარი.

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (პროგრამული კოდი 01 03)

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 545.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 545.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.9%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯების დაფარვა 110.6 ათასი ლარის და სესხის ძირი თანხის დაფარვა - 434.9 ათასი ლარის ოდენობით.



➤ მიღწეული შედეგები:

დადგენილ ვადაში შესრულებული საკრედიტო ვალდებულებები;  
შემცირებული იქნა სასესხო ვალდებულება - 434.9 ათასი ლარით.

გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება (პროგრამული კოდი 01 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია საპროექტო ორგანიზაციებს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე აძლევს დავალებებს ქ. ბათუმში ქუჩების რეკონსტრუქციის, ეზოების, ქუჩების სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის, ქუჩების, პარკების, სკვერებისა და მოედნების განათების, სხვადასხვა (სპორტული მოედნების მოწყობის, სკვერებისა და პარკების გამწვანებისა და სხვა) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე. შედგენილია 272 ც. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ტექნიკური დოკუმენტაციის გაწევა - ტექნიკური დოკუმენტაცია იწარმოა საპროექტო გადაწყვეტილებების დაცვაზე, ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებზე; შესრულებული სამშენებლო სამუშაოებზე, გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების საპროექტო გადაწყვეტასთან, სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან, სტანდარტებთან, ტექნიკურ პირობებსა და სხვა ნორმატიულ



დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მშენებლობაზე გამოყენებული კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და მასალების ტექნიკური პასპორტების, სერთიფიკატების, ლაბორატორიული შემოწმების შედეგებისა და ხარისხის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების არსებობაზე.

მემორიალის ესკიზის, ქანდაკებისა და ბიუსტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა- განხორციელდა ჟიული შარტავას მემორიალური ბიუსტის ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

➤ მიღწეული შედეგები:

საპროექტო მოთხოვნების, სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად განხორციელებული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები;

შესრულებული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხარისხის კონტროლის სიტემა.

ქალაქის დაგეგმარება (პროგრამული კოდი 03 03 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 89.1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 74.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 84.0%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქალაქის ქონების პასპორტიზაცია - ღონისძიების ფარგლებში საკადასტრო სისტემაში აიზომა 13 154 კვ.მეტრი მიწა; 9 847.67 კვ. მეტრი შენობა-ნაგებობა; განხორციელდა საერთო მოცულობით 849 617 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთის არსებული აზომვითი ნახაზების დაყოფა; საერთო მოცულობით 195 815 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის არსებული აზომვითი ნახაზების კორექტირება. უსახური და უკანონო ნაგებობების დემონტაჟის მიზნით, ჩატარდა ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება ორგანიზაცია შპს "მშენებელთან". ქალაქის ქუჩების დაგეგმარება - ღონისძიების ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულება შპს "აჭარსპეცპროექტთან" (29.09.2015 №224).

➤ მიღწეული შედეგები:

კოორდინატთა სისტემაში საკადასტრო სისტემით აგეგმილი მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები.

დაწყებულია მუშაობა ქუჩების ქსელის დაგეგმარების კონცეფციაზე.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 03 03 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 300.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 297.8 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.3%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში, 2015 წელს გაიცა ბაგრატიონის ქუჩის საექსპოპრიაციო კომპენსაცია 3 ოჯახზე და 1 იურიდიულ პირზე 129 949 ლარის ოდენობით. სანაცვლოდ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 596,75 კვ. მეტრი მიწა და 325,41 კვ. მეტრი შენობა-ნაგებობა. ორბელიანის ქ. № 8-ში ავტოსატრანსპორტო ადგილების



მოწყობის მიზნით განხორციელდა შპს "ჰორიზონტი"-ს საკუთრებაში არსებული 578 კვ მეტრი მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 251.3 კვ მეტრი შენობა-ნაგებობის ექსპორტირება, რის სანაცვლოდაც გაიცა კომპენსაცია - 83 908 ლარი. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №70 განკარგულების შესაბამისად, ეკატერინე ნინიძეს, ლუბოვ კუროკინას, პავლე უდალოვსა და ოლეგ უდალოვს 2009 - 2010 წლებში განხორციელებული ექსპორტირებისათვის 2015 წელს გადაეცა 23 693 ლარი. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №71 განკარგულებისა და ქ. ბათუმის მერის 2015 წლის 1 დეკემბრის №968 ბრძანების საფუძველზე, ბათუმის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის მცოვრებ 29 ოჯახს გადაეცა კომპენსაცია საერთო მოცულობით 29 000 ლარის ოდენობით. გაიცა საკომპენსაციო თანხა 13 ერთეული ავტოფარეხის დემონტაჟისათვის 9 600 ლარის ოდენობით, ასევე 15 410 ლარი გაიცა 2 კომერციული დანიშნულების ობიექტისა და 2 ავტოფარეხის დემონტაჟისათვის, ბინის ქირის თანხა 1 ოჯახზე 2 701 ლარის ოდენობით. ზ. გორგილაძის გაგრძელების მიზნით ათვისებული იქნა 120 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული 28,3 კვ. მეტრი შენობა ნაგებობა, რის სანაცვლოდაც გადაეცა 123 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთი..

➤ მიღწეული შედეგები:

ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით განხორციელებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შემთხვევაში საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა; ქალაქის მოწესრიგებული იერსახე.

ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 59.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 32.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 53.8%. პროგრამა ითვალისწინებდა წინა წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების დაფარვას, გამომდინარე იქედან რომ კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ დროულად არ იქნა წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაცია, საბიუჯეტო ანგარიშიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თანხის გადახდა არ მომხდარა, რამაც გამოიწვია პროგრამის შესრულების (დაფინანსების) დაბალი მაჩვენებელი.

➤ პროგრამის აღწერა:

განხორციელდა წინა წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა;

➤ მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესებული ქალაქის ინფრასტრუქტურა;

გაზრდილი ქალაქის ტურისტული პოტენციალი და საერთაშორისო ცნობადობა.

ქალაქის გაფორმება (პროგრამული კოდი 03 03 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:



დაზუსტებული გეგმა - 1,895.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,730.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 91.3%.

➤ პროგრამის აღწერა:

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება - განხორციელდა ევროპის მოედანზე საახალწლო ნაძვის ხის მონტაჟი, გაწყობა-გაფორმება საახალწლო აქსესუარებით (გირლიანდებით, ფიფქებით, წვიმებით, მანათობელი ბურთებით, ნაძვის ხის სათამაშოებით და სხვა), აგრეთვე გაფორმდა ქუჩები საახალწლო აქსესუარებით, საახალწლო დღესასწაულების გასვლის შემდეგ მოხდა მათი დემონტაჟი და დასაწყობება მერიის საწყობში შემდგომი გამოყენებისათვის.

წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები - ღონისძიების ფარგლებში გზაგამყოფ ზოლებში მარტულეებისათვის დამზადდა-დამონტაჟდა - 1757 ცალი ალამი, ქალაქში არსებული სტაციონალური ფლაგშტოკებისათვის ორმაგი ცვეთით შეიკერა, გამოიფინა და დემონტაჟი ჩაუტარდა 240 ცალ დროშას, არსებული წრიული სადგარებისათვის შეიკერა და დამონტაჟდა არსებულ ტარებზე ატლასის ნაჭრით 320 ცალი დროშა, აგრეთვე განხორციელდა არასტანდარტული ზომის 8 ცალი დროშის შეკერვა შემდგომი მონტაჟი-დემონტაჟით, გზაგამყოფ ზოლებში არსებულ გარე განათების ბოძებზე დამზადდა-დამონტაჟდა 300 ცალი მარტულეები; დამზადდა და დამონტაჟდა 6 ცალი - ორმხრივი ბილბორდი; დამზადდა და დამონტაჟდა 6 ცალი - შრიფტული, მისასალმებელი და სააგიტაციო ბანერების, პლაკატები; დამზადდა და დამონტაჟდა 210 ცალი - ქუჩის მიმართულების მიმანიშნებელი ბანერი; 10 ცალი - მემორიალური დაფა; 170 ცალი - ქუჩის ნუმერაციის აღმნიშვნელი დიდი დაფა; 74 ცალი - ქუჩის ნუმერაციის აღმნიშვნელი პატარა დაფა; ყოველთვიურად მიმდინარეობს ქალაქში არსებული ძეგლების (4 ცალი) და ბიუსტების (10 ცალი) გაწმენდა; გაიწმინდა ლაქებისაგან და წარწერებისაგან შენობა-ნაგებობების ფასადები და კედლები - 8 000 კვ.მ.; აგრეთვე დამზადდა და დამონტაჟდა ქუჩებში სათვალთვალ ვიდეო-კამერების ადგილმდებარეობის მიმანიშნებელი საინფორმაციო ფირნიშები - 200 ცალი; ქალაქის ფარგლებში 54 მისამართზე დამზადდა და დამონტაჟდა ტურისტული მაჩვენებლები."

სელიმ ხიმშიაშვილის მემორიალური ბიუსტის მოწყობის სამუშაოები - დამზადდა ბრინჯაოს ბიუსტი კვარცხლბეკზე საერთო სიმაღლით 405 სმ, რომელიც მოპირკეთდა გრანიტით; მოეწყო 1500 კვ.მ. ფართობზე სკვერი; მოეწყო ბორდიური 202 გრძ.მ.; დაიგო ბეტონის ფილები 245 კვ.მ.; დაიგო კორდი 180 კვ.მ.; დაიდგა 10 ცალი საბალო საპარკო სკამი; დაირგო 10 ცალი ხე-მცენარე; დამონტაჟდა 150 ვტ-იანი გარე მინათება 3 ცალი.

დელფინის ბიუსტის რესტავრაცია - დელფინის ბიუსტს ჩაუტარდა მცირე რესტავრაცია

ზ. გორგილაძის ქუჩაზე აჭარის სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის მიმდებარედ შადრევნების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები - მოპირკეთდა დეკორატიული გრანიტის ფილებით 96 კვ.მ., დამონტაჟდა დიდ შადრევანზე 16 დიდი და 7 პატარა ერთეული ლედ ტიპის სანათები, ხოლო მომცრო შადრევანზე 20 დიდი და 3 პატარა ერთეული ლედ ტიპის სანათები, დამონტაჟდა 2 წყლის (480 ვტ-იანი, 300 ვტ-იანი) საქაჩი ტუმბო,

➤ მიღწეული შედეგები:

მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმებული ქალაქი;

თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით გაფორმებული დღესასწაულები და სხვადასხვა ღონისძიებები.



პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 06)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 2,007.1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,663.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 82.9%.

➤ პროგრამის აღწერა:

ლერმონტოვის ქუჩაზე სკვერის კეთილმოწყობა - ავტოსადგომების მოსაწყობ ტერიტორიაზე დაიგო 1100 კვ.მ. ა.ბეტონის საფარი, 266 კვ.მ.-ზე სატრენაჟორო და საბავშვო მოედნებზე მოეწყო ორკომპონენტური კაუჩუკის ორშრიანი სხმული, დამონტაჟდა სხვადასხვა საბავშვო 3 ცალი პლასტმასის ასაცოცხებელი, მოეწყო მონოლითური დეკორატიული კედელი 77 კუბ.მ. და მოპირკეთდა 480 კვ.მ. გრანიტის ფილით, მოეწყო 422 გრძ.მ. ბაზალტის ბორდიური, ხოლო 238 გრძ.მ. ბეტონის ანაკრეფი ბორდიური, მოეწყო 38,44 კუბ.მ. მონოლითური დეკორატიული სკამები და მოპირკეთდა 325 კვ.მ. ბუნებრივი გრანიტის ფილებით, მოეწყო 83 ცალი საპარკე სკამი, მოეწყო 1 ცალი სასმელი წყლის შადრევანი, პარკის ტერიტორიაზე მოეწყო 300 კვ.მ. ბეტონის დეკორატიული ფილა, ხოლო გზის გასწვრივ ტროტუარზე 2550 კვ.მ. ბეტონის ფერადი დეკორატიული ფილა, დაიგო 2182 კვ.მ კორდი, მოეწყო მინი სტადიონი 1050 კვ.მ. ხელოვნური მწვანე საფარით, დამონტაჟდა 6 ცალი გარე განათების ბოძი სანათებითურთ. მოეწყო კომბინირებული საპირფარეშო, მოეწყო გარე საკანალიზაციო სისტემისათვის 2 ცალი საკანალიზაციო ჭა, მოეწყო სანიაღვრე სისტემისათვის სანიაღვრე ჭა 39 თუჯის ცხაურით, დეკორატიული განათებისათვის ჩაიდო 320 გრძ.მ ძალოვანი იზოლირებული კაბელი.

ისრაფილ ჯინჭარაძის სახელობის სკვერის კეთილმოწყობა - 77,1 გრძ.მ.-ზე მოეწყო 11,6 კუბ.მ. რკ.ბეტონის ღია ტიპის სანიაღვრე არხი, არსებულ კიბეზე მოეწყო 144,2 კვ.მ. ბეტონის დეკორატიული ფილა, მოაჯირის დაზიანებული კედელი მოხატაქმდა ქვიშაცემენტის ნარევით და მოეწყო 15,8 კვ.მ. ბეტონის დეკორატიული ფილით, პარკში არსებულ დეკორატიულ და პერიმეტრულ კედლებზე მოეწყო ბეტონის დეკორატიული ფილა 39 კვ.მ., აგრეთვე 230 კვ.მ. დაზიანებული ნაწილი მოხატაქმდა ქვიშაცემენტის ხსნარით და მოეწყო დეკორატიული ნაშხეფით, არსებული პედესტალი მოეწყო ხელოვნური გრანიტის ფილით 4,32 კვ.მ., შესასვლელში ტროტუარზე მოეწყო 207 კვ.მ ფერადი დეკორატიული ფილა, 76 გრძ.მ.-ზე მოეწყო ბაზალტის ბორდიური, მოეწყო შადრევანი და 3 ერთეული დეკორატიული ბომების სანათი.

სკვერების კეთილმოწყობა - დემეტრე თავდადებულისა და ბესიკის ქუჩების კვეთაში არსებული სტადიონის გადატანის და მის ადგილას სკვერის მოწყობისათვის განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები, შემოიღობა დეკორატიული აგურით მოპირკეთებული 63 სვეტი, შემოიღობა სვეტებს შორის დეკორატიული ღობე 59 სექცია, დამონტაჟდა ლითონის 4 კარი, მოეწყო შადრევანი, დამონტაჟდა 63 დეკორატიული განათება, ტერიტორიაზე დაიგო 684 კვ.მ. დეკორატიული ორშრიანი ფილა, მოეწყო 32 გრძ.მ. ბაზალტის ბორდიური, დაიგო 344 კვ.მ. კორდი, დამონტაჟდა 11 ცალი საპარკე სკამი და 10 ცალი სანაგვე ურნა;

ჯავახიშვილის ქ. #70, #72 და #74-ის მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობად შესრულდა შემდეგი სამუშაოები: ს/გზის სავალ ნაწილზე დაიგო 120 კვ.მ. ა/ბეტონის



საფარი, სკვერის დეკორატიული განათებისათვის გატარდა სხვადასხვა კვეთის 356 გრძ.მ. ელ.კაბელი, არსებულ ლითონის დეკორატიულ ბოძებზე დამონტაჟდა 24 ერთეული დიოდური 30ვტ.-იანი სანათი, მოეწყო ბეტონის ანაკრები ბორდიური - 109 გრძ.მ., მოეწყო 711 კვ.მ. დეკორატიული ფილა, მოეწყო მწვანე კორდი 1603 კვ.მ., დამონტაჟდა 6 ცალი საპარკე სკამი და 6 ცალი სანაგვე ურნა, შემოღობვის სვეტები მოეწყო დეკორატიული აგურით 11,44 კუბ.მ.-ით, მოეწყო 133,58 კვ.მ.-ზე ლითონის დეკორატიული პანელური შემოღობვა, მოეწყო 6 ცალი ლითონის დეკორატიული კარები, პერიმეტრალური ღობის ბოძებზე დამონტაჟდა დეკორატიული 54 ცალი სანათი, დეკორატიული განათებისათვის გატარდა სხვადასხვა კვეთის 556,75 გრძ.მ. ელ.კაბელი, დამონტაჟდა სანიაღვრე გოფირებული მილი 78 გრძ.მ.-ზე, მოეწყო 5 ერთეული სანიაღვრე ჭა თუჯის ოთკუთხედი ცხაურით.

ფრიდონ ხალვაშის ქუჩის #322-ის მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობა - ელ. კაბელისათვის არხში ჩაიდო 50მმ დიამეტრის პლასმასის გოფირებული მილი - 260 გრძ.მ., რაშიც გატარდა - 260 გრძ.მ. ელ. კაბელი, ტრანშეა შეივსო ქვიშა-ხრეშით - 46,8 კუბ.მ., დამონტაჟდა 20 ცალი ელ. განათების დეკორატიული ბოძი სანათებითურთ, მოეწყო ბეტონის ანაკრები ბორდიურები - 37 გრძ.მ., მოეწყო ბეტონის დეკორატიული ფილა - 18 კვ.მ., მოეწყო საპარკე სკამები - 25 ცალი და სანაგვე ურნები - 17 ცალი, არსებულ ბავშვთა სათამაშო მოედანზე მოეწყო ქვიშის საფარი 25.6 კუბ.მ. და დამონტაჟდა სათამაშო ატრაქციონი.

➤ მიღწეული შედეგები:

შექმნილი მოსახლეობაზე ორიენტირებული ეკოლოგიური გარემო.

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 07)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 2,010.9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,978.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98.4%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქალაქის გამწვანების ღონისძიებები - 8 მილიონ კვ.მ მწვანე საფარის გაცელება; ხე-მცენარეების შეთეთრება ჩაუმქრალი კირით; მაღალტანიანი დეკორატიული მცენარეების გასხვლა-გაფორმება; დიდი ხეების გადაბეღვა ტექნიკის გამოყენებით; ხმელი და სტიქიის შედეგად დაზიანებული ხეების მოჭრა და გატანა; ხე-მცენარეების შეწამვლა შხამ-ქიმიკატებით, ასევე არსებული მცენარეების გამოკვება მინერალური და ორგანული სასუქებით, ნიადაგის გაფხვიერება ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში; ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში არსებული ხე-მცენარეების, ბუჩქოვნებისა და სეზონურად მოყვავილე ყვავილების მორწყვა; მინერალური სასუქის შეტანა კლუმბებში, სკვერებში, გაზონებში და ქოთნებში; ქალაქის ტერიტორიაზე ფილებს შორის ამოსული სარეველების შეწამვლა ჰერბიციდით; მცენარეების, ბორდიურებისა და სავალი ბილიკების გაწმენდა სარეველებისა და ხავსისაგან; ზამთარში ხე-მცენარეების დაფრთხვა; მიწის შეტანა საყვავილე კლუმბებსა და ხე-მცენარეების ირგვლივ; მიწის გადაბარვა; ახალდარგული ხე-მცენარეების აკვრა ჭიგოებზე; სეზონურად მოყვავილე ყვავილების ამოღება; ხე-მცენარეებისა და ბუჩქოვნების განლაგება ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში; ნიადაგის მომზადება სეზონურად მოყვავილე ყვავილების დასარგავად და მათი გაფორმება დიზაინისა და სხვადასხვა ორნამენტების გამოყენებით; 185 საყვავილე



კლუმბაში სეზონურად მოყვავილე 1,200,000 ცალი ყვავილის დარგვა და მათი მოვლა-პატრონობა; 720 ძირი დეკორატიული და სხვა მრავალწლიანი ხემცენარეებისა და ბუჩქების შექმნა-დარგვა ქალაქის სხვადასხვა ქუჩებსა და სკვერებში; მიმდინარე ღონისძიების ფარგლებში საკუთარი ძალებით გამოყვანილი 1400 დეკორატიული ნერგის დარგვა ქალაქის სხვადასხვა ქუჩებსა და სკვერებში; პალმების შეხვევა და გახსნა სეზონის მიხედვით; სეზონურად მოყვავილე სხვადასხვა მცენარეების დათესვა-დაკალმება; ქალაქის გამწვანებისა და სხვა ღონისძიების განხორციელება. საცელავი აპარატის შექმნა, მეტალოპლასმასის ჯიხურის, ბენზო ხერხის და კულტივატორის შექმნა. ქალაქის ტერიტორიაზე 7 ერთეული შადრევნის გაწმენდა - დასუფთავება და მიმდინარე რემონტი (მშრალი შადრევანი - გმირთა ხეივანისა და შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩის კვეთა, ლუტეცია - გმირთა ხეივანისა და შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩის კვეთა, ნეფტუნის შადრევანი - ვ. გამსახურდიასა და რუსთაველის ქუჩის კვეთა (თეატრის წინ), ფრანგული შადრევანი - ევროპის მოედანი, მრგვალი შადრევანი - ზ. გორგილაძისა და ძმები ზუბალაშვილების ქუჩის კვეთა, კოშკი (ჭაჭის) შადრევანი - საზღვაო სადგურის მიმდებარე ტერიტორია.

➤ მიღწეული შედეგები:

მოვლილი და გაფორმებული პარკები და სკვერები;  
ქალაქის გაფორმება თანამედროვე ლანდშაფტური დიზაინით;  
გაზრდილი მწვანე საფარის ფართობი.

ბათუმის განვითარების ფონდი (პროგრამული კოდი 03 03 08)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის განვითარების ფონდი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 256.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 231.9 ათასი ლარი;  
შესრულების პროცენტი - 90.6%.

➤ პროგრამის აღწერა:

ბათუმის განვითარების პროექტების შემუშავება და მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება - ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების (48 ერთეული) დამზადება, აღდგენა/რესტავრაცია და საცხოვრებელი სახლების სადარბაზო კარების დამზადება, აღდგენა/რესტავრაცია (34 ერთეული).

აქტივების რუქის შექმნა - აქტივების ეფექტურ გამოყენებასა და არსებული რესურსების სწორ განაწილების მიზნით მუშავდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური აქტივების ელექტრონული რუქის და მართვის ელექტრონული სისტემის სტრატეგია

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინვენტარიზაცია - კულტურული მემკვიდრეობითი არქიტექტურული ძეგლების ინვენტარიზაციის ჩატარება, სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურული ძეგლების გამოვლენის, მათი კულტურულ მემკვიდრეობითი, ისტორიული, არქიტექტურული ღირებულებითი მნიშვნელობის, არსებული მდგომარეობის შესწავლისა და დიფერენცირებისათვის შესაბამის ღონისძიებათა დაგეგმვისათვის - მათი შემდგომი რესტავრაცია/რეაბილიტაციისა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კონსერვაციის მიზნით, კანონით განსაზღვრული მათი დაცვის





ზონაში დაგეგმილი თუ მიმდინარე ახალი მშენებლობების მიერ, მათთვის პირდაპირი თუ ვიზუალური საფრთხეების მინიმალურიზაციისათვის.

➤ მიღწეული შედეგები:

ქ. ბათუმში ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება;  
ქალაქის ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალის გაზრდა.

სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 03 09)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოები.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1,611.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,225.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 76.0%.

➤ პროგრამის აღწერა:

სასაფლაოების მოვლა-პატრონობა-საფლავებზე მისასვლელი ბილიკების დაგვა-დასუფთავება, გამწვანება, ამორტიზირებული ხეების მოჭრა, საჭირო სამუშაო იარაღებისა და ინვენტარით უზრუნველყოფა, მუშა-მესაფლავეების სპეციალური უნიფორმითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა, ბალახის, ბუჩქების და ხეების მოვლა, სტრუქტურის წესრიგში მოყვანა, სასაფლაოს მოვლა-პატრონობისათვის საჭირო მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების შექმნა და მომსახურება, რეგულარულ დაგვა-დასუფთავებას, ტერიტორიის გამწვანება. სასაფლაოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით შექმნილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი, საოფისე ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები

უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა-აღნიშნული ღონისძიებით განხორციელა ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვა მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ურეხის სასაფლაოზე, ხდება მათი რეგისტრაცია, ნომრის მინიჭება.

სასაფლაოების პასპორტიზაცია - შეიქმნა სპეციალური პროგრამა, რის საშუალებითაც ელექტრონული რუკით დადგინდება თითოეული საფლავის ფართობი, მეპატრონეები, საფლავის რიგითი ნომერი.

➤ მიღწეული შედეგები:

გაუმჯობესდა სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მდგომარეობა;  
შეიქმნა მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი მომსახურების დონე;

დაწყებულია ახალი სასაფლაოს ინფრასტრუქტურის შექმნა.

ტურისტული ობიექტების მართვა (პროგრამული კოდი 03 03 10)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 239.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 228.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95.2%.

➤ პროგრამის აღწერა:

განხორციელდა შპს "ქ. ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოს" მიმდინარე ხარჯების დაფინანსება - 307.2 ათასი ლარი; შპს "ქ. ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოს" კაპიტალის ზრდა - 25.5 ათასი ლარი.



➤ მიღწეული შედეგები:

საექსპლოატაციო მდგომარეობაში მყოფი ტურისტული ობიექტები.

განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია  
(პროგრამული კოდი 03 04)

საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მერია, კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 3,808.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 3,723.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97.8%.

➤ პროგრამის აღწერა:

კახაბრის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა - გადაიხურა შენობის სახურავი პროფილირებული ფერადი თუნუქით - 468 კვ.მ.; მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის კიბე - 12 კუბ.მ., აშენდა შენობის კედლები და მოეწყო შიგა ტიხრები სამშენებლო სხვადასხვა ბლოკებით - 280,26 კუბ.მ.; მოეწყო კარის ბლოკი - 79 ცალი, მოეწყო მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკები - 108 ცალი (288,58 კვ.მ.); შეიღესა შიგა კედლები - 2887 კვ.მ.; დაეგო მეტლახის ფილები - 339 კვ.მ. და კედლებზე მოეწყო კაფელი - 664 კვ.მ.; ჭერი შეიმოსა ტენმედეგი თაბაშირ-მუყაოს ფილებით - 933 კვ.მ.; შეიღესა ჭერი და კედლები - 2973 კვ.მ.; ფანჯრებზე მოეწყო მეტალოპლასტმასის რაფები - 250 გრძ.მ.; შეიღესა ფასადი - 1088 კვ.მ.; ფასადის კედლებზე მოეწყო ქაფპლასტის ფილები - 700 კვ.მ.; დაიგო პარკეტი - 545 კვ.მ.; მოეწყო წყალსაწრეტი მილები და ღარები - 242,4 კვ.მ.; ფასადის ზეპირკველი მოპირკეთდა ბუნებრივი გრანიტის ფილებით - 57,92 კვ.მ.; დამონტაჟდა 22 ცალი საბავშვო უნიტაზი და 24 ცალი ხელსაწყო; მოეწყო გათბობის სისტემა; ეზოს პერიმეტრზე მოეწყო ღობე ლითონის ბადით პოლიმერული გარსით (დეკორატიული) - 101 გრძ.მ., დამონტაჟდა 1 ცალი ჭიშკარი და ეზოში შესასვლელი 1 ცალი ლითონის კარები.

ტაბიძის ქ. N14-ში მდებარე შენობის საბავშვო ბაღად გადაკეთების სამუშაოები - მოეწყო სარტყელი და გადახურვის ფილა 3,2 კუბ.მ., მოეწყო მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკები - 87,4 კვ.მ. - 25 ცალი, გადაიხურა სახურავი პროფნასტილით - 812 კვ.მ., აშენდა კედლები ბლოკებით - 127,4 კუბ.მ., შეიკიდა ჭერი თაბაშირ-მუყაოს ფილებით - 1 256,4 კვ.მ. და პლასტიკატით - 152,5 კვ.მ., კედლებზე მოეწყო კერამიკული ფილები - 485,5 კვ.მ., დამონტაჟდა პანელური ფოლადის რადიატორები - 42 გრძ.მ., შემოიღობა ტერიტორია ლითონის მილკვადრატებით აწყობილი სექციური ღობით - 220 გრძ.მ., მოეწყო კარის ბლოკები - 57 ცალი, შიდა კედლები და ფერდები შეიღესა მაღალხარისხოვანი წყალემულსიური საღებავით - 2257 კვ.მ., დამონტაჟდა საბავშვო პირსაბანი 32 ცალი და უნიტაზი - 24 ცალი, ეზოში მოეწყო ორი ფენა ა/ბეტონის საფარი 390 კვ.მ., დაიგო კორდი 945 კვ.მ., მოეწყო ბეტონის ბორდიური - 250 გრძ.მ., მოეწყო სანიაღვრე სისტემა - 70 გრძ.მ..

მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე N5 საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო-დაშენების სამუშაოები - მოეწყო მონოლითური წერტილოვანი საძირკვლები ბეტონით 9,36 კუბ.მ. მოცულობით, დაისხა პირველი სართულის იატაკი 3,5 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის სარტყელი, აგრეთვე მონოლითური რკ.ბეტონის



სართულშორისი გადახურვის ფილა 55,4 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის კიბე 7.52 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის კოჭები ბეტონით 6 კუბ.მ., მოეწყო სართულშორისი გადახურვა მონოლითური რკ.ბეტონით 18 კუბ.მ., აიგო წვრილისამშენებლო ბლოკით კედლები და ტიხრები 48 კუბ.მ., ქვიშაცემენტის ხსნარით მოიჭიმა 249 კვ.მ. იატაკი, დამონტაჟდა ელ. კაბელები 150 გრმ.მ.

ანდრონიკაშვილის ქუჩაზე მდებარე #13 საბავშვო ბაღის სარეკონსტრუქციო სამუშაოები - მოეწყო ბეტონის იატაკები 10,51 კუბ.მ.; მოეწყო რკ.ბეტონის მონოლითური რიგელები, რკ.ბეტონის კიბის დიაფრაგმა და რკ.ბეტონის გადახურვის ფილა 147,6 კუბ.მ.; მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის გადახურვის ფილა 4,88 კუბ.მ.; მოეწყო მონოლითური რკ. კიბე 2,7 კუბ.მ.; მოეწყო რკ.ბეტონის პარაპეტის სვეტები და სარტყელი 1,44 კუბ.მ.; დაიხურა სახურავი პროფილირებული თუნუქით 974 კვ.მ.; ჩაუტარდა სახურავის ხის კონსტრუქციების ცეცხლდაცვა და ანტისეპტირება 974 კვ.მ.; აშენდა კედლები და მოეწყო ტიხრები საკედლე ბლოკებით 210,74 კუბ.მ.; შეიმოსა ჭერი თაბაშირ მუყაოს ფილებით 1500 კვ.მ.; შეილესა და შეიღება შენობის შიდა და გარე კედლები 3511 კვ.მ.; მოეწყო მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკები 86 ცალი; მოეწყო კარის ბლოკი 66 ცალი; იატაკზე დაიგო 933 კვ.მ. პარკეტი, 479 კვ.მ. კერამოგრანიტის ფილები და 83,6 კვ.მ. მეტლახის ფილები; სველ წერტილებსა და სამზარეულოში კედლებზე მოეწყო კაფელი 648 კვ.მ.; დერეფანში მოეწყო მეტალოპლასტმასის ვიტრაჟები 79,42 კვ.მ.; მოეწყო წყალსაწრეტი და წყალსადინარი თარები 198 გრმ.მ.; მოიხატა 208,2 კვ.მ. საბავშვო ბაღის შენობის ფასადი; დაიგო დეკორატიული ფილა 960 კვ.მ.; დაიგო კორდი 190 კვ.მ. და მოეწყო ბეტონის ბორდიური 210 გრმ.მ.

საბავშვო ბაღების კაპიტალური რემონტი: ა) სამრეწველო უბანში მდებარე #23 2 სართულიანი საბავშვო ბაღის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: მოეწყო მწერსაწინააღმდეგო ბადე ფანჯრებზე 56 ცალი; გამაგრდა არსებული კარის ბლოკები - 60 ცალი; ცენტრალურ შესასვლელელებში მოეწყო ლითონის შემინული ჭედური კარის ბლოკები - 4 ცალი; მოეწყო პანდუსი ალუმინის მოაჯირით - 2 ცალი; მოეწყო ახალი ლამინირებული პარკეტის იატაკი - 683 კვ.მ.; სველ წერტილებში დაიგო მეტლახი - 42 კვ.მ. და მოეწყო კერამიკული ფილები 144 კვ.მ.; შეიცვალა წყლისა და კანალიზაციის მილები - 171 გრმ.მ.; დამონტაჟდა საბავშვო უნიტაზები - 21 ცალი; დერეფნებში იატაკზე დაიგო ხელოვნური გრანიტის ფილები - 35 კვ.მ.; გაყვანილ იქნა ელ. სადენი - 890 გრმ.მ. და გამოიცვალა ელ. მოწყობილობები - 283 ცალი; შეიღება შიგა კედლები - 1 489 კვ.მ.; სახურავზე შეიცვალა პლასტიკატის ღარები და წყალსაწრეტი მილები ფერადი თუნუქით - 194 გრმ.მ.; შეიღება გარე ფასადი - 1 063 კვ.მ.; შეიცვალა კანალიზაციის 53 გრმ.მ. მილები, დამონტაჟდა ახალი თუჯის ლუქები - 3 ცალი; 276 მეტრ სიგრძეზე მოეწყო ბეტონის ღობე ბლოკებით, რომელიც შეილესა და შეიღება - 1 160 კვ.მ.; ეზოში მოეწყო ბეტონის ბორდიური - 230 გრმ.მ.; დაიგო კორდი - 1112 კვ.მ. და ბეტონის ფერადი ფილები - 1627 კვ.მ.

ბ) სამრეწველო უბანში მდებარე #24 საბავშვო ბაღის შენობის რეკონსტრუქციისათვის განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: მოეწყო ფანჯრის ბლოკები - 64 ც, მოეწყო მწერსაწინააღმდეგო ბადე - 56 ც., მოეწყო ფანჯრის რაფები - 126 გრმ.მ., მოეწყო ლითონის ჭედური შემინული კარის ბლოკი - 4 ც., შეიცვალა ფერადი თუნუქის წყალშემკრები ღარები და წყალსაწრეტი მილები - 223 გრმ.მ., მოეწყო ლამინირებული პარკეტის იატაკი - 665 კვ.მ., დერეფნის იატაკი მოპირკეთდა ხელოვნური გრანიტის ფილებით - 63,10 კვ.მ., შიდა კიბის საფეხურები და ბაქნები



მოპირკეთდა ხელოვნური გრანიტის ფილებით - 49,3 კვ.მ., მოეწყო პანდუსი მოაჯირითა და ალუმინის სამაგრებით, მოეწყო შეკიდული ჭერი - 979.4 კვ.მ., შეიღეს კედლები - 624 კვ.მ., კედლებზე მოეწყო კერამიკული ფილები - 63,2 კვ.მ., შეიღება შენობის შიდა კედლები და ჭერი - 2240 კვ.მ., შეიღება შენობის ფასადი - 1063 კვ.მ., მოეწყო გარე კანალიზაციის სისტემა 25 გრძ.მ., ეზოში დაიგო ა/ბეტონის საფარი - 1090 კვ.მ., მოეწყო ბეტონის ბორდიური - 183 გრძ.მ..

გ) მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე #17 საბავშვო ბაღის შენობის რეკონსტრუქციისათვის განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: მოეწყო მონოლითური რკ/ბეტონის სვეტები და სარტყელი - 3,1 კუბ.მ.; მოეწყო მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკები - 16,8 კვ.მ., ასევე კარის ბლოკი - 28,92 კვ.მ.; მოეწყო მეტალოვიტრაჟი - 35,5 კვ.მ.; ამოშენდა კედლები ბლოკებით - 6,69 კუბ.მ.; მოეწყო შეკიდული ჭერი თაბაშირ-მუყაოს ფილებით - 635,2 კვ.მ.; შებათქაშდა შენობის შიდა კედლები და კარისა და ფანჯრის ფერდობები - 1483 კვ.მ.; ამოიტუმბა სარდაფიდან წყალი 1100 კუბ.მ.; მოეწყო მონოლითური ფილა - 4,5 კუბ.მ.; მოეწყო ფერადი თუნუქის წყალშემკრები ღარები - 100 გრძ.მ.; მოეწყო ტიხრები სამშენებლო ბლოკებით - 6,69 კუბ.მ.; მოეწყო ლამინირებული იატაკი - 180 კვ.მ.; კედლებზე მოეწყო კაფელი - 95 კვ.მ.; შეიღება შიდა კედლები - 1281 კვ.მ.; შეიღესა და შეიღება ფასადის კედლები - 365 კვ.მ.; მოეწყო ღობე - 159 გრძ.მ.; მოეწყო ბეტონის ბორდიური - 107 გრძ.მ..

დ) პუშკინის ქუჩაზე მდებარე #16 2 სართულიანი საბავშვო ბაღის შენობის რეკონსტრუქციისათვის განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: მოეწყო მწერსაწინააღმდეგო ბადე ფანჯრებზე - 47 ცალი; გამაგრდა არსებული კარის ბლოკები - 5 ცალი; მოეწყო მეტალოპლასტმასის კარის ბლოკები - 5 ცალი; მოეწყო თაბაშირ-მუყაოს ფილებით ტიხარი ლითონის კარკასზე - 5,9 კვ.მ.; შეიცვალა წყალშემკრები ღარები და წყალსაწრეტი მილები ფერადი თუნუქის ღარებით - 117 გრძ.მ.; მოეწყო ტიხრები - 3.6 კუბ.მ.; შეიცვალა ლამინირებული პარაკეტის იატაკი - 509 კვ.მ.; დაიგო მეტლახის იატაკი - 48,7 კვ.მ.; მოეწყო შეკიდული ჭერი პლასტიკატით - 92,6 კვ.მ.; მოეწყო კერამიკული ფილები - 126 კვ.მ.; შეიღება შიდა კედლები და ჭერი - 1664 კვ.მ.; ფასადზე მოეწყო საჩრდილობელი ლითონის კარკასზე - 6 ცალი; დაიდგა საბავშვო უნიტაზები - 8 ცალი; შეიცვალა წყლისა და კანალიზაციის მილები - 196 გრძ.მ.; ცენტრალურ შესასვლელში მოეწყო პანდუსი მოაჯირით - 3,8 კუბ.მ.; ეზოში დაიდგა 1 ცალი ფანჯატური სკამებით.

ნონეშვილის ქუჩა #60-ში მდებარე შენობა-ნაგებობის საბავშვო ბაღის შენობად გადაკეთება და მასზე სართულის დაშენება - მოეწყო 8 ბავშვთა აქტიური ოთახი, თავისი საძინებლითა და გარდერობით, ეზოში მოეწყო სანიაღვრე სისტემა 95 გრძ.მ.-ზე, დაიგო ბეტონის ფილები 803 კვ.მ., დაიგო კორდი 410 კვ.მ. დამონტაჟდა 9 ცალი საპარკე სკამი, შემოიღობა ეზოს ტერიტორია დეკორატიული ღობით 193 გრძ.მ.-ზე.

➤ მიღწეული შედეგები:

საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისათვის კეთილმოწყობილი გარემოს შექმნისათვის აშენდა ერთი და რეაბილიტაცია - რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 8 ერთეულ სკოლამდელ დაწესებულებას;

საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისათვის შექმნილი კეთილმოწყობილი გარემო.



სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 5,231.9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 5,206.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.5%.

➤ პროგრამის აღწერა:

სპორტული მოედნების მშენებლობა: ბარცხანის დასახლებაში ბენზინ გასამართი სადგური სოკარის მიმდებარედ დიდი ზომის სპორტული მინი-მოედნის მოწყობისათვის შესრულდა შემდეგი სახის სამუშაოები: სტადიონი შემოიფარგლა პანელური ლითონის ბადით ლითონის დგარებზე - 530,40 კვ.მ., მოეწყო შესასვლელი 4 ცალი კარი, დაიდგა საფეხბურთო 2 ცალი კარი, მოეწყო საკალათბურთო 2 ცალი ფარი, მოეწყო სტადიონის ხელოვნური საფარი - 1132 კვ.მ., დამონტაჟდა მაყურებელთა ტრიბუნა - 55,5 კვ.მ., დამონტაჟდა 6 ცალი განათების ბოძი დიოდური სანათებითურთ. ვაჟა ფშაველასა და ბესიკის ქუჩების კვეთაში მინი სპორტული მოედნის მოწყობისათვის განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: სტადიონი შემოიფარგლა პანელური მავთულბადით - 530,4 კვ.მ., მოეწყო შესასვლელი 2 კარი, დამონტაჟდა კალათბურთის 2 ცალი ფარი და საფეხბურთო 2 ცალი კარი, დამონტაჟდა 4 ცალი გარე განათების ბოძი სანათებითურთ, დაიგო ხელოვნური საფარი მოედანზე 435 კვ.მ.."

ფრიდონ ხალვაშის გამზირი #162-თან არსებული მინი-სტადიონის კაპიტალური შეკეთება - შეიცვალა მწვანე საფარი; გარემონტდა საფეხბურთო კარებები; შეიცვალა საკალათბურთო ფარები ბადით; შეიღობა პანელური მავთულბადით ლითონის დგარებზე - 275 კვ.მ. ; შეიცვალა არსებულ გარე განათების 3 ბოძზე დიოდური ნათურები.

კახაბრის ქ. #1-თან არსებული მინი-სტადიონის კაპიტალური შეკეთება - სტადიონი შემოიფარგლა პანელური მავთულბადით 82,88 კვ.მ.; დამონტაჟდა კალათბურთის 2 ცალი ფარი; შეიღება კარები, საფეხბურთო კარები, საკალათბურთო ფარები და 4 ცალი გარე განათების ბოძი; შეიცვალა სანათები; დაიგო 780,6 კვ.მ ხელოვნური საფარი.

ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობა - მოეწყო მონოლითური 26 კუბ.მ. რკ.ბეტონის ზეპირკვლი, 64,5 კუბ.მ. რკ.ბეტონის სვეტები და 23 კუბ.მ. რკ.ბეტონის დიაფრაგმები ბეტონით, შენობის კონტურში და I სართულის იატაკის ფილის ქვეშ მოხდა 1780 კუბ.მ. გრუნტის უკუჩაყრა, მომანდაკდა ვაკისი ვიბროსატკეპნით - 9200 კვ.მ., მოეწყო საფუძველი ღორღით I სართულის იატაკის, პანდუსებისა და ბაქნებისათვის 79,6 კუბ.მ..

გონიოს დასახლებაში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - ჩაისვა ფანჯრის ბლოკები 6 ცალი; მოეწყო კარის ბლოკები 4 ცალი; მოეწყო კარები 5 ცალი; იატაკზე დაეგო კერამიკული ფილები 90 კვ.მ.; მოპირკეთდა გარე კიბის საფეხურები ხელოვნური გრანიტის ფილებით 11 კვ.მ.; მოეწყო შენობაში ტიხრები ბეტონის ბლოკებით 9,49 კუბ.მ.; გაიწმინდა და შეიღება არსებული თუნუქის სახურავი 159 კვ.მ.; მოეწყო შეკიდული ჭერი პლასტიკატით 90 კვ.მ.; შებათქაშდა შიდა კედლები 333 კვ.მ.; მოპირკეთდა კედლები კერამიკული ფილებით 135 კვ.მ.; შეიღება ფასადი 166 კვ.მ.; მოეწყო მონოლითური ბეტონით გარე კიბე 1,1 კუბ.მ.; დამონტაჟდა პლასტმასის ავზი 500 ლ. ტევადობის 2 ცალი.; მოეწყო პირსაბანი საკვანძეებში 5 კომპლექტი; დამონტაჟდა



უნიტაზები 3 კომპლექტი; მოეწყო წყალშემრევი საშხაპე ბადით 10 ცალი; მოეწყო 2 ცალი კანალიზაციის ჭა; გაყვანილ იქნა ელ. სადენი - 180 გრძ.მ. და დამონტაჟდა ელ. მოწყობილობები - 46 ცალი; დამონტაჟდა სამაყურებლო ტრიბუნაზე 204 ცალი სკამი; შეკეთდა არსებული ლითონის ღობე ახალი მასალების დამატებით 411გრძ.მ.; მოეწყო 1 ცალი ჭიშკარი და 3 ცალი კუტიკარი; დამონტაჟდა გარე განათების 2 ცალი ბოძი 8 ცალი პროექტორით.

სარაგბო სტადიონის მშენებლობა - ტრიბუნის მოსაწყობ ადგილას მოიჭრა გრუნტი 3 000 კუბ.მ.; 20 კმ-ზე გატანილია ზედმეტი გრუნტი 5 250 ტონა, მოეწყო ბალასტის საფუძველი დატკეპნით 5673 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის წერტილოვანი საძირკველი - 149,9 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის რანდ კოჭები - 95 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის იატაკის ფილა - 260 კუბ.მ., მოეწყო რკ.ბეტონის მონოლითური რიგელები - 110,9 კუბ.მ., მოეწყო მონოლითური რკ.ბეტონის ჩარჩო - 283 კუბ.მ., მოეწყო კედლები - 886.54 კუბ.მ., დამუშავდა გრუნტი 837,9 კუბ.მ.; დამუშავებული გრუნტი ჩაიყარა ხელით 613,5 კუბ.მ.; მოეწყო ბალასტის საფუძველი 212,5 კუბ.მ.; მოეწყო მონოლითური საყრდენი რკ.ბეტონის კედელი - 333,9 კუბ.მ., დამონტაჟდა ანაკრები რკ.ბეტონის ღობის პანელები 408 ცალი, დამონტაჟდა ლითონის ღობის გისოსები 946,7 კვ.მ., გადატანილ იქნა ელ.ხაზი საკაბელო არხში 1300 გრძ.მ., დამონტაჟდა ტრიბუნების ანაკრები რკ.ბეტონის ფილები 223 ცალი, დამონტაჟდა ტრიბუნის გადახურვის ლითონის ფერმები 25,85 ტონა, შეიღესა კედლები და ტიხრები 3715 კვ.მ., შეიღესა ფასადის კედლები 934 კვ.მ., მოეწყო ფანჯრები - 50 კვ.მ., მოეწყო კიბეები - 72,8 კუბ.მ..

➤ მიღწეული შედეგები:

მოეწყო 2 ერთეული, შეკეთდა 2 ერთეული და რეაბილიტირებულ იქნა ერთი ერთეული სპორტული სტადიონი.

სპორტული კომპლექსის შექმნა;

ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდა;

**პრიორიტეტი: განათლება**

**სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)**

**საბავშვო ბაღების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 01)**

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 10,615.9 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 10,385.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97.8%.

➤ პროგრამის აღწერა:

საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება - საანგარიშო პერიოდში, ააიპ საბავშვო ბაღების გაერთიანებას გადაეცა სამი ახალი საბავშვო ბაღი: №30 - ნონეშვილის ქ. 60, №31-ე ტაბიძის ქ. 14 და №32-ე ფრიდონ ხალვაშის ჩიხი 12. ასევე დასრულდა სარემონტო სამუშაოები და განახლდა სააღმზრდელო პროცესი მე-13, მე-16,



მე-17, მე-18, 23-ე, 24-ე, 27-ე საბავშვო ბაღებში. 2015 წელს გაერთიანებაში ირიცხებოდა 1147 შტატით გათვალისწინებული და 20 შტატგარეშე თანამშრომელი. ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდა საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამა და ასევე აღსაზრდელთა და თანამშრომელთა გამოცხადების ელექტრონული აღრიცხვის სისტემა. მეთოდოლოგიის კუთხით საბავშვო ბაღებში ჩატარებულია გეგმით გათვალისწინებული აქტივობები.

საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა - საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა კვება განხორციელდა "ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 12 ნოემბერის № 280/ნ ბრძანების მოთხოვნათა სრული დაცვით. სისტემატიურად ხორციელდებოდა კვების ბლოკის სანიტარული-ჰიგიენური მდგომარეობის და მოწოდებული პროდუქციის ხარისხისა და ვარგისიანობის შემოწმება.

საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - ჩატარდა მე-18 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი - 206335 ლარი, გონიოს საბავშვო ბაღში ჩატარდა საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემების მოწყობის სამუშაოები - 14893 ლარი, ასევე გონიოს საბავშვო ბაღში მოეწყო ჭაბურღილი - 15400 ლარი, №№1,2,3,6,7,8,9,10,11,12,14,15,16,18,19,20,25,26,29 საბავშვო ბაღებში ჩატარდა ჩანების მოწყობის, სავენტილაციო სისტემების რემონტისა და სხვა ლოკალური სარემონტო სამუშაოები - 58758 ლარი. №№7,8,17,22,31 საბავშვო ბაღებში ჩატარებულია ელექტროსამონტაჟო სამუშაოები - 20266,7 ლარი. ყველა საბავშვო ბაღში შეყვანილია ინტერნეტი-31325 ლარი, შესყიდულია აღსაზრდელთა ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამა - 4900 ლარი, ახალი საბავშვო ბაღებისათვის შეძენილია და ასევე განახლებულია ავეჯი - 247706 ლარი.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება -(გადამზადება) - თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარებულია ტრენინგები, რომელიც განხორციელდა შპს „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მუშაკთა გადამზადების, სემინარებისა და ტრენინგების ცენტრმა“, გადამზადებულია სულ 311 თანამშრომელი, მათ შორის: ფსიქოლოგი - 31, ლოგოპედი - 30, მზარეული - 30, მედდა - 37, აღმზრდელი - 183.

➤ მიღწეული შედეგები:

საბავშვო ბაღებში სწორი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი;

ბავშვის ინტერესებსა და უფლებებზე ორიენტირებული ფიზიკური და სოციალური გარემო.

უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

წარმატებულ სტუდენტთა მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 04 03 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 52.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 50.1 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 95.4%.

➤ პროგრამის აღწერა:



ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია გაიცა 30 სტუდენტზე.

➤ მიღწეული შედეგები:

გაზრდილია კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების რაოდენობა.

უცხოეთში სტაჟირება (პროგრამული კოდი 04 04)

ახალგაზრდების უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 04 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 30.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 27.6 ათასი ლარი;

შესრულების პროცენტი - 91.9%.

➤ პროგრამის აღწერა:

სტაჟირება - საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 12 მოქალაქე.

➤ მიღწეული შედეგები:

კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული სპეციალისტი.

პრიორიტეტი: კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 287.1 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 273.0 ათასი ლარი;

შესრულების პროცენტი - 95.1%.

➤ პროგრამის აღწერა:

რუსუდან სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიშში; ტურნირში მონაწილეობა მიიღო 6 უცხოურმა გუნდმა (60 სპორტსმენი). შეჯიბრება ჩატარდა გუნდური პრინციპით, ასევე პირად პირველობაში როგორც ვაჟებში ისე გოგონებში. გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით. ასევე ტურნირის თანადაფინანსება უზრუნველყო აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა და საქართველოს ტანვარჯიშის ეროვნულმა ფედერაციამ.

ევროპის ჩემპიონატი ბილიარდში; ქ. ბათუმში პირველად ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ბილიარდში, თავისუფალ პირამიდაში ევროპის ქვეყნების გუნდების მონაწილეობით. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენების საპრიზო თანხით დაჯილდოება. ჩემპიონატი





განხორციელდა აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თანადაფინანსებით.

მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში; საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაული ჭიდაობაში ჩატარდა 01-03/05/2015 ახალგაზრდებს შორის (სადაც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 70 სპორტსმენმა. წონით კატეგორიებში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ მედლებით, თასებით, სიგელებითა და სპეციალური პრიზებით.

საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ვ.ალთაბაევის თასზე; შეჯიბრება ჩატარდა 2015 წ. 2-5 ოქტომბერს, 18 წლამდე ახალგაზრდებს შორის, ტურნირში მონაწილეობა მიიღო არაუმცირეს უცხოურმა გუნდებმა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით. საუკეთესო ნომინაციებში გამოვლენილ სპორტსმენებს გადაეცემათ სპეციალური პრიზები.

საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში პეტრე ბრეუსის თასზე; შეჯიბრება ჩატარდა 25-29/08/2015 წ. 18 წლამდე ახალგაზრდებს შორის, აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობა მიიღო 3 უცხოურმა და 3 ადგილობრივმა გუნდებმა. გამარჯვებულებს გადაეცემათ თასები, მედლები და დიპლომები. საუკეთესო ნომინაციებში გამოვლენილ სპორტსმენებს გადაეცემათ სპეციალური პრიზები.

საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფრენბურთში; ტურნირი ჩატარდა 26-29/09/2015 წ. მასში მონაწილეობა მიიღო ბათუმელმა და უცხოურმა ქალთა გუნდებმა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფულადი ჯილდოთი, თასებით, მედლებითა და დიპლომებით.

საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში; ტურნირი ჩატარდა 4-5/07/2015 წ. მასში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს წამყვანმა მოცეკვავეებმა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით. ტურნირი განხორციელდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თანადაფინანსებით.

ტურნირი ჩოგბურთში მერიის თასზე; აღნიშნული ტურნირი 3-მე წელია იმართება და მიიღო ტრადიციული ხასიათი. ტურნირი ჩატარდა 10-14/05/2015 წ. გუნდური პრინციპით და მასში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა ჩოგბურთელებმა. გამარჯვებულ გუნდს გადაეცა მერიის თასი.

გ. მენაბდის სახელობის ტურნირი ფეხბურთში; ტურნირი ჩატარდა 1-4/08/2015წ, რომელიც მიემდგნა ცნობილი ქართველი ფეხბურთელის გენო მენაბდის ხსოვნას. მონაწილეობა მიიღო საქართველოს სპორტის დამსახურებულმა ვეტერანებმა.

ქალთა საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში „BATUMI LADIES OPEN“. ტურნირი გაიმართა 5-7/09/2015წ, რომელიც საერთაშორისო ხასიათს ატარებდა. აღნიშნული ტურნირი ქ. ბათუმში იმართება 1997 წლიდან. მასში მონაწილეობა მიიღო 20 ქვეყნის 100-მდე ჩოგბურთელმა, მათ შორის ქართველმა ჩოგბურთელებმაც. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენების საპრიზო თანხით დაჯილდოება.

სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტურნირებისა და შეჯიბრებების ორგანიზება; ღონისძიება ითვალისწინებდა იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან შემოსული სხვადასხვა სპორტული ინიციატივების მხარდაჭერას. პრიორიტეტი მიენიჭა სპორტის მასობრივ სახეობებს, რომელშიც ჩართული იქნა ბათუმის მოსახლეობა. აღნიშნული ღონისძიებების ორგანიზებისათვის ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა 15 000 ლარის ოდენობით. ჩატარდა ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. მაგ: ა/წ 28-30 მარტს



ჩატარდა ოთარ ცანავას 70 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა, ისე უცხოელმა სპორტსმენებმა; ტურნირის ორგანიზებისათვის გამოიყო 3 784 (სამიათას შვიდასოთხმოცდაოთხი) ლარი. ა/წ.20 - 26 ივლისს ჩატარდა ტურნირი ვეტერან სპორტსმენებს შორის ნარდში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში. ღონისძიების ორგანიზებისათვის გამოიყო თანხა 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით. ა/წ. 2 - 5 ოქტომბრის ჩათვლით, ქ. ბათუმში ჩატარდა აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (EEVZA) ჩემპიონატის ფინალური ეტაპი საპლაჟო ფრენბურთში (მამაკაცები, ქალები). ტურნირში მონაწილეობა მიიღო საქართველოს, სომხეთის, უკრაინის, პოლონეთის, რუსეთის, ბელარუსიის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთისა და აზერბაიჯანის საუკეთესო რეიტინგის მქონე 16 ქალთა და 16 მამაკაცთა გუნდებმა. აღნიშნული ტურნირის ორგანიზების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო საპრიზო ადგილზე გასული გუნდების, საპრიზო თანხით დაჯილდოება, ჯამში 5700 (ხუთიათას შვიდასი) ლარის ოდენობით. ა/წ.30 სექტემბრიდან, 8 ოქტომბრის ჩათვლით, ა(ა)იპ „აჭარის ა/რ, რეგიონალური მინი ფეხბურთის ფედერაციამ“ უზრუნველყო სამინისტროებსა და უწყებებს შორის მინი ფეხბურთში ტურნირის ორგანიზება. მომსახურების საერთო ღირებულებამ შეადგინა 3500 (სამიათას ხუთასი) ლარი.

ბათუმელ სპორტსმენთა მხარდამჭერი ღონისძიებები; პროგრამა მიზნად ისახავდა ბათუმელი წარმატებული სპორტსმენების მხარდაჭერას, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ სხვადასხვა მაღალი დონის ჩემპიონატებში. პროგრამით ასევე გათვალისწინებული იყო სპორტსმენტთა ეკიპირება და სპორტული ინვენტარით. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველთა შერჩევა ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების (N439 17/06/2015) საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ. დღემდე დაფინანსდა სულ 8 სპორტსმენი, ჯამში 20 960 ლარი. სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს „A“ კატეგორიის საერთაშორისო ღონისძიებებში, როგორც შოტოკან კარატე-დო სახეობაში, ასევე მშვილდოსნობაში. აღსანიშნავია, რომ მშვილდოსნობის საერთაშორისო ღონისძიებაში, რომელიც ტარდებოდა პარაოლიმპიელებს შორის, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა ბათუმელი პარაოლიმპიელი სპორტსმენი, რომელმაც წარმატებით იასპარეზა აღნიშნულ ტურნირზე"

სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან საახალწლო-საშობაო შეხვედრა; 29 დეკემბერს განხორციელდა სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან და სპორტსმენებთან საახალწლო შეხვედრის ორგანიზება. საშობაო ღონისძიებაზე მოწვეულ იქნენ ბათუმელი ვეტერანები და ახალგაზრდა სპორტსმენები, სპორტული ჟურნალისტები, რომლებიც დაჯილდოვდებიან სპორტის სხვადასხვა საუკეთესო ნომინაციებში; საუკეთესო სპორტსმენი, საუღეთესო ვეტერანი სპორტსმენი, საუკეთესო მწვრთნელი და საუკეთესო სპორტული ჟურნალისტი.

➤ მიღწეული შედეგები:

გამოვლინდნენ პერსპექტიული სპორტსმენები;

მაღალორგანიზებულად ჩატარდა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ხასიათის სპორტული ტურნირები;

სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივ და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში მოხდა სპორტსმენტთა წარმატებული გამოსვლა;



მოხდა უცხოელი სპორტსმენების გამოცდილების გაზიარება და დამყარდა კავშირი უცხოურ სპორტულ ორგანიზაციებთან.

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 4,872.4 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 4,864.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.8%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შედეგი სპორტული კლუბები:

შპს საფეხბურთო კლუბი „დინამო ბათუმი“ - 2,725.6 ათასი ლარი;

შპს სარაგბო კლუბი „ბათუმი“ - 1,130.0 ათასი ლარი;

შპს ფრენბურთის კლუბი „ბათუმი“ - 107.1 ათასი ლარი;

შპს ხელბურთის კლუბი „ბათუმი“ - 222.0 ათასი ლარი;

შპს წყალბურთის კლუბი „ბათუმი“ - 100.0 ათასი ლარი;

შპს კალათბურთის კლუბი „ბათუმი-2010“ - 580.0 ათასი ლარი;

➤ მიღწეული შედეგები:

კლუბები წარმატებულად გამოვიდნენ საქართველოს ჩემპიონატებში;

ბათუმელი სპორტსმენები მოხვდნენ სხვადასხვა რანგის ნაკრებებში;

გაიზარდა მაცურებელთა რაოდენობა.

სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 05 01 03)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1,148.3 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,040.6 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 90.6%;

➤ პროგრამის აღწერა:

ზამთრის სპორტის სახეობათა და დახურული სპორტული დარბაზის მატერიალური ბაზის მოვლა პატრონობა, სპორტული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება - ზამთრის სპორტის სახეობათა და დახურული სპორტული დარბაზის მატერიალური ბაზის მოვლა პატრონობა, სპორტული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება - ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლების და სპორტში მათ მასობრივად ჩაბმის ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, ხელშეწყობა და განვითარება; აღნიშნული სპორტის მასობრიობის და ხელმისაწვდომობის პირობების შექმნა; სხვადასხვა ასკობრივ ჯგუფებისათვის ვარჯიშების ორგანიზება და შესაბამისი პირობების შექმნა; ცენტრის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ყინულისა და დახურული სპორტული დარბაზის მოვლა-შენახვა; სპორტული ტრადიციების შენარჩუნება, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო თასების, სიგელების, ჯილოდოების, ბანერების, რეკლამების დამზადებისა და სხვა მარკეტინგული საქმიანობის წარმოება. აღნიშნული ღონისძიებიდან სპორტულ - ახალგაზრდული ცენტრის სპორტული ობიექტების გამართულად ფუნქციონირებისათვის ტარდება რიგი ღონისძიებები; მათ შორის ადმინისტრაციული საქმიანობისთვის საჭირო სამუშაოები;



კავშირგაბმულობის, სატელეკომუნიკაციო, კომუნალური, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები, სამედიცინო თუ სხვადასხვა მიმდინარე რემონტის ხარჯების, ასევე ყინულის საფარის ოპტიმალურად შენარჩუნებისათვის აუცილებელი რიგი სამუშაოების გატარება.

სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის კლუბის შექმნა - სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ჰოკეისა და ფიგურული ციგურაობის კლუბების შექმნა - სპორტული ინვენტარის,ყინულზე სასრიალო დამხმარე ინვენტარის, სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შექმნა, ჰოკეის მწვრთნელის დაქირავება, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ორგანიზება, მწვრთნელთა ოსტატობის ამადლების მიზნით ტრენინგ-სემინარებში მონაწილეობის მიღება. ფიგურული ციგურაობისა და ჰოკეის პოპულარიზაცია; ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტსმენთა ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლის უზრუნველყოფა; სპორტის ამ სახეობების გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ჰოკეის ჯგუფში 35 მოზარდია გაერთიანებული. გუნდს საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი დმიტრი სმეტანინი წვრთნის, რაც ხელს უწყობს აღნიშნული სპორტის სახეობის განვითარებას და პოპულარიზაციას. საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციამ ცენტრს საჩუქრად გადმოსცა ჰოკეის ყვანჯები და შაიბები. ვერ განხორციელდა ინვენტარის შექმნა, არ შემდგარი ტენდერის გამო, გეგმება ინვენტარის შექმნა 2016 წელს.

სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის კლუბის შექმნა - სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ჰოკეისა და ფიგურული ციგურაობის კლუბების შექმნა- სპორტული ინვენტარის,ყინულზე სასრიალო დამხმარე ინვენტარის, სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შექმნა, ჰოკეის მწვრთნელის დაქირავება, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ორგანიზება, მწვრთნელთა ოსტატობის ამადლების მიზნით ტრენინგ-სემინარებში მონაწილეობის მიღება. ფიგურული ციგურაობისა და ჰოკეის პოპულარიზაცია; ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტსმენთა ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლის უზრუნველყოფა; სპორტის ამ სახეობების გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. - ცენტრის ბაზაზე სპორტული და სამოყვარულო ჯგუფები მოქმედებს, რომელშიც 500 -მდე მოსწავლეა გაერთიანებული. შექმნილია 13 სამოყვარულო, 1 ჰოკეის, 3 სპორტული და 2 სინქრონული ფიგურული ციგურაობის ჯგუფი. ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად. ცენტრი ხელს უწყობს სპორტსმენების ახალი თაობის გაზრდას, საუკეთესო სპორტსმენების საერთაშორისო შეჯიბრებებზე მივლინებას. 2015 წლის 23-28 თებერვალი „Iშუ“-ს საერთაშორისო ტურნირი HELLMUთ შეIBთ MEMOდIAL ჩUP, რომელიშიც 30 ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის სპორტსმენებმა თავიანთ ასაკობრივ კატეგორიაში 2 ვერცხლის მედალი და მეოთხე ადგილი მოიპოვეს. 2015 წლის 18 მარტი „Iშუ“-ს საერთაშორისო ჩემპიონატი „ ბუდაპეშტის თასი“ უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გამართულ შეჯიბრებში სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის სინქრონულმა გუნდმა პირველად საქართველოს ისტორიაში სინქრონული სრიალის კატეგორიაში მეოთხე საპრიზო ადგილი მოიპოვა. 23-26 აპრილი „Iშუ“-ს საერთაშორისო ჩემპიონატი „დოსტერ ჩუპ“, რომელშიც ცენტრის სპორტსმენებმა საპრიზო ადგილები მოიპოვეს. 24-25 მაისი საქართველოს ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. დამოუკიდებლობისა და ბავშთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი კონცერტები. 20.06-19.07 გერმანიის



რესპუბლიკა ქალაქი ობერსტდორფი სასწავლო-საწვრთნო შეკრება, რომელიც მონაწილეობას იღებენ ცენტრის მთავარი მწვრთნელი და პერსპექტიული სპორტსმენი. 2015 წლის 26 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით ქ.ბათუმის მერიის და ა(ა)იპ ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის „სინქრონული გუნდის“ სამი მოციგურავე, ქ. ერზრუმში „VIDYON“-ის საციგურაო კლუბის მიერ ჩატარებულ სასწავლო-საწვრთნო შეკრებაზე, საგაზაფხულო ბანაკში, გაიარეს ტრენინგი სისტემური ტექნიკური წესებსა და ქორეოგრაფიაში. "

სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ორგანიზება - სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ორგანიზება- სხვადასხვა სპორტული თამაშების ეროვნულ დონეზე ყველა რანგისა და ფორმის შეჯიბრებების ორგანიზება; საპლაჟო სპორტის სახეობებში ღონისძიებების ორგანიზება, სპორტულ სახეობებში ჩართული ორგანიზაციების, წევრებისა და მოთამაშეებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება. თამაშების ჩატარება ეტაპობრივი სისტემით, სახეობების მიხედვით გამარჯვებულთა დაჯილდოება თასებითა და დიპლომებით. ცენტრის ბაზაზე განთავსებულია მრავალფუნქციური სპორტული დარბაზი, რომელიც გათვლილია 850 მაყურებელზე, სადაც სისტემატიურად ტარდება ღონისძიებები სხვადასხვა გუნდურ თუ ინდივიდუალურ სპორტულ სახეობებში. 20/02/2015 საერთაშორისო ტურნირი მინი ფეხბურთში (აზერბაიჯანი, ფოთი, აჭარა). 04-07/03/2015 ქალთა ჩემპიონატი ფრენბურთში. 12/03/2015 ჩემპიონატი ხელბურთში. 19-20/03/2015 დავით ხიტირის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჩემპიონატი ფარიკაობაში. 22-24/05/2015 მხიარული სტარტები. 01/06/2015 ოთარ ფადავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ჩემპიონატი ხელბურთში. 26-28/06/2015 ორთაბრძოლა კიკბოქსინგში „შავი ზღვის თასი 2015“ 08/07/2015 პროექტი ეზოს ფეხბურთის საგაზაფხულო ლიგის ფინალი.

ინფრასტრუქტურის მოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება - ცენტრის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობა, ჯიხურების, გამაციებელი აგრეგატებისათვის კონტროლიორისა და მისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, სხ/სხ ტექნიკური დანადგარების, ყინულისა და დახურული სპორტული დარბაზის შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, აუდიო-ვიდეო აპარატურის შექმნა-მონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი, საერთაშორისო და ადგილობრივი ღონისძიებების ჩატარებისათვის ინფრასტრუქტურის მოწყობა. ცენტრის ბაზაზე შექმნილია და დამონტაჟებულია 13 ვიდეო სათვალთვალო კამერა. განხორციელებულია სხვადასხვა აუცილებელი სამეურნეო საქმიანობები. შექმნილია მემანქანეთათვის ჯიხური, ყინულის გამაციებელი დანადგარისათვის ჩილერის კონტროლიორი და პროგრამული უზრუნველყოფა, აირპნევმატური ნაგებობის შესაწვებელი ფენი და სხვადასხვა ხელსაწყოების ნაკრები.

ეზოს ფეხბურთი - ეზოს ფეხბურთი -ამ პროექტისათვის საჭირო სპორტული ინვენტარის შექმნა, ჩემპიონატების ორგანიზება, თამაშის მუდმივად განვითარება ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის, მათი ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, მწვრთნელთა დაქირავება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ხარჯვა. ქალაქის ადმინისტრაციულ უბნებში ჩამოყალიბდა 40- მდე საფეხბურთო გუნდი, რომელშიც გაწევრიანებულია 2000-2005 წლებში დაბადებული მოზარდები.



პროექტს 550 მდე ბენეფიციარი ჰყავს. გუნდებს დაენიშნათ მწვრთნელები, ვარჯიშები მიმდინარეობს ინტენსიურად. შეძენილია სპორტული გადასაცმალეები, ბურთები, სავარჯიშო დგარები. ყველა უბანზე გაკრულია საინფორმაციო ბილბორდები.

2015 წლის 8 (რვა) ივლისს გაიმართა საგაზაფხულო ლიგის ფინალი, სადაც გამოვლინდა როგორც შეჯიბრის ასევე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები. მათ ფასიანი ვაუჩერები, თასები და მედლები გადაეცათ. მიმდინარე წლის 24 ოქტომბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდა საშემოდგომო ლიგის ფინალი, რომელშიც მონაწილეობას დებულობდა უფროსი ასაკობრივი, უმცროსი ასაკობრივი და დამწყები ასაკობრივი კატეგორიის ბავშვები. უფროსს ასაკობრივში გამარჯვებული გახდა აღმაშენებლის ადმინისტრაციული ერთეულის გუნდი, უმცროსში - რუსთაველი ადმინისტრაციული ერთეულის გუნდი, ხოლო დამწყებ ასაკობრივში - გონიო-კვარიათის ადმინისტრაციული გუნდი. ტურნირში მონაწილეობა მიიღო 26 გუნდის 350-ზე მეტმა მოზარდმა."

➤ მიღწეული შედეგები:

ბავშვებისა და მოზარდების მოზიდვა და ჩაბმა გამაჯანსაღებელ სპორტულ მეცადინეობებში;

სპორტულ და საჩვენებელ ღონისძიებებზე მაცურებელთა ზრდა.

საჭადრაკო კლუბის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 276.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 275.7 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.9%.

➤ პროგრამის აღწერა:

საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი "ბათუმის მერიის თასი-2015". ფესტივალის ფარგლებში გაიმართა შემდეგი ტურნირები: "ა-ტურნირი"-დაითვალა ფიდეს რეიტინგი, 4 მა მოჭადრაკემ შეასრულა საერთაშორისო დიდოსტატის და საერთაშორისო ოსტატის წოდებები. "ბ-ტურნირი"-დაითვალა ფიდეს საერთაშორისო რეიტინგი, შესაძლებელი იყო ფიდეს წოდებების შესრულება. ასაკობრივი ტურნირები: 8,10 და 12 წლამდე ჭაბუკებსა და გოგონებში. ჩატარდა საერთაშორისო ბლიც ტურნირი, დაითვალა ფიდეს რეიტინგი. ფესტივალმა უპრეცედენტო რაოდენობას 10 ქვეყნის 300 მდე მოჭადრაკეს უმასპინძლა, მათ შორის 14 საერთაშორისო დიდოსტატს! 30-ზე მეტ საერთაშორისო და ფიდეს ოსტატს. მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანის, რუსეთის, სასომხეთის, ყაზახეთის, ირანის, უზბეკეთის, ავსტრალიის, ისრაელის, თურქეთის ცნობილმა მოჭადრაკეებმა. 20 დაფაზე მიმდინარებდა ლაივ ელექტრონული დაფების მეშვეობით პარტიების პირდაპირი ჩვენება კლუბ ნონას საიტზე. ფესტივალის განმავლობაში საიტზე სტუმრების (ვიზიტორების) რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა. ფესტივალის ფარგლებში ბათუმს 700-მდე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი სტუმრობდა. ბათუმელ მოჭადრაკეებს მიეცათ საშუალება ქვეყნიდან გაუსვლელად მინიმალური ხარჯებით ეასპარეზათ საერთაშორისო მაღალი რანგის ტურნირში, გაეჩინათ საერთაშორისო ტრეიტინგი, წოდებები მიეღოთ სათამაშო გამოცდილება. კლუბმა ნორჩი მოჭადრაკეებისათვის გამართა ერთდროული თამაშის სეანსები დიდოსტატებთან: ეროვნული ნაკრების მწვრთნელებთან ხვიჩა სუპატაშვილთან და დავით ჯოჯუასთან, აგრეთვე ნინო ბაციაშვილთან. სალომე



მელიასთან და მირანდა მიქაძესთან. ალტერნატიული სენსი დიანა დარჩიას, ნინო ბაციაშვილის და მირანდა მიქაძის მონაწილეობით ვეტერანი მოჭადრაკეებისათვის. კლუბი მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, სკოლებთან, ბაღებთან. კლუბის ორგანიზებით ჩატარდა ბათუმობის ფარგლებში "ცოცხალი პარტია" ბულვარში დიდ საჭადრაკო დაფაზე დიანა დარჩიასა და მირანდა მიქაძეს შორის. ქ. ბათუმის პროკურატურასთან ერთობლივი პროექტი "არა ნარკომანიას" 2 ტურნირი. სტუდენტური დღეების ფარგლებში ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ღია პირველობა. არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანი კანონი თავისუფლება"ს ახალგაზრდული საკრებულოს პროექტის ფარგლებში ჭადრაკის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 3 დღიანი ტურნირი ბავშვებისთვის, მონაწილეობდნენ სხვა რეგიონის წარმომადგენლებიც. ჩატარდა კლუბი ნონას ღია პირველობები სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის, რაპიდი და ბლიც ტურნირები მამაკაცთა და ქალთა შორის. დეკემბერში ტრადიციული საახალწლო ტურნირები, ყველა ასაკის წარმომადგენლებისათვის. ჩატარდა შიდა ტურნირები შპს სკოლა "იმედში" და "თაობა XXI საუკუნე"-ში აგრეთვე პანტელეიმონ მკურნალის სახ. სასულიერო ბაღში. ბავშვებს გადაეცათ სიგელები. სკოლა "იმედში" გაიმართა საჭადრაკო საღამო. გაიმართა კლუბი ნონას წლის შემაჯამებელი საღამო-ვიდეო ანგარიში, წლის განმავლობაში წარმატებულ კლუბის წევრებს გადაეცათ დიპლომები და კლუბის სპეციალური თასები, დაჯილდოვდნენ აგრეთვე პრესის წარმომადგენლები. აღნიშნულმა ღონისძიებებმა საგრძნობლად გაზარდა ჭადრაკისადმი დაინტერესება, პოპულარობა, გაამრავალფეროვნა საწვრთნო პროცესი, მისცა ნორჩ მოჭადრაკეებს სტიმული შემდგომი წინსვლისთვის და დაოსტატებისთვის.

საერთაშორისო ტურნირის ბათუმში ჩატარებით გაიზარდა მონაწილეთა შორის ბათუმელი და აჭარის სხვადასხვა რეგიონების წარმომადგენლების რიცხოვნობა. მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს შენობის უქონლობა. სასპორტო სკოლაში არსებული ფართი არაა საკმარისი ასეთი მასშტაბური ტურნირების ჩატარებისთვის, აგრეთვე ოთახი ვეღარ იტევს მეცადინეობის მსურველთა მკვეთრად გაზრდილ რაოდენობას. ვინაიდან ბათუმში მხოლოდ ეს ოთახია შემორჩენილი ჭადრაკისთვის, რეგიონალური ტურნირებიც აქ იმართება, ამ დროს იძულებულები ვართ მოვხსნათ საწვრთნო პროცესი, რაც უკმაყოფილებას იწვევს მშობლებში. ფართის უქონლობა არ გვამღევეს საშუალებას მონაწილეობა მივიღოთ სატურნირო ტენდერებში, განვახორციელოთ ბევრი საინტერესო პროექტი. დიდი ტურნირების ჩასატარებლად გვიწევს საჭირო ფართის დაქირავება რაც საკმაოდ ძვირი ჯდება. დაბრკოლებას გვიქმნის კლუბის საკუთარი ტრანსპორტის (მიკრო ავტობუსის) უქონლობაც, რაც ერთობ ართულებს დაგეგმილი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში სხვადასხვა რეგიონებში თუ ქალაქებში გასვლებს.

➤ მიღწეული შედეგები:

კლუბი მოიპოვა საქართველოს და ევროპის საკლუბო ჩემპიონის ტიტული.

საცხენოსნო კლუბის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 116.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 115.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.9%.



➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამების ფარგლებში ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა შედეგ სპორტული შეჯიბრებებში: 1. დოლი ბემუმში-შუამთობა 2 წრიანი და 4 წრიანი პირველი ადგილები, 2. თბილისი-საქართველოს პირველობა დაბრკოლებათა გადალახვა 3-4 ადგილები. 3. დოლი ანაკლიაში ( მარიამობასთან დაკავშირებით) საქართველოს საუკეთესო ცხენებს შორის 6 წრიანში-1 ადგილი. 4. დაბრკოლებათა გადალახვა მსოპლიო ეტაპი და კავკასიის თასი პირველი დღე 6 საპრიზო და გრანპრი მსოპლიო ეტაპზე-3 ადგილი ბრინჯაოს მედალი.

➤ მიღწეული შედეგები:

სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩატარებული ტურნირებში და შეჯიბრებებში მოპოვებულ იქნა საპრიზო ადგილები.

ავტოდრომის კლუბის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 06)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 83.8 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 78.0 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 93.1%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ავტოდრომის მშენებლობის დასრულების სამუშაოები. კლუბმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ჩემპიონატში (წყვილთა რბოლაში, დრიფტი).

➤ მიღწეული შედეგები:

ჩემპიონატებში წარმატებული გამოსვლა (წყვილთა რბოლაში, დრიფტი), მოპოვებულ იქნა საპრიზო ადგილები.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

ბათუმი არტი - ფესტივალების ქალაქი (პროგრამული კოდი 05 02 02)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაცია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 629.6 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 629.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100.0%.

➤ პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს ჩატარდა შემდეგი ფესტივალები:

ა) კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალი გაიმართა ა/წლის 25 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება 4 საკონცერტო საღამო. ფესტივალის ფარგლებში მოწვეული იყო ქართველი და უცხოელი კლასიკური მუსიკის შემსრულებლები, რომელთა მიერ შესრულდა ცნობილი და პოპულარული ნაწარმოებები.

ბ) ქალაქური მუსიკის ფესტივალი. ფესტივალი გაიმართა ა/წლის 26-27 სექტემბერს. ფესტივალის ფარგლებში მოწვეო 2 საკონცერტო საღამო. შესრულდება, როგორც ცნობილი, ასევე დამწყები კომპოზიტორების ნაწარმოებები. ფესტივალში





მონაწილე შემსრულებელთათვის გაიცა (35 შემსრულებელი) შრომის ანაზღაურება - 22 750 ლარი.

გ) საავტორო კინოს ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალი გაიმართა 2015 წლის 13 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო კინოჩვენებები, მოწვეული იყო ცნობილი კინო-რეჟისორები და კრიტიკოსები, მოეწყო ცნობილ რეჟისორთა მასტერკლასები.

დ) ბათუმის ანიმაციური ფილმების მე-7 საერთაშორისო ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამა. ფესტივალი გაიმართა 2015 წლის 8 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით. ფესტივალის ფარგლებში განხორციელდა ფილმების თარგმნა-გახმოვანება, ჩვენების უფლების მოპოვება, ანიმაციის წარმოებისათვის საჭირო ტექნიკით უზრუნველყოფა და სხვა მომსახურება.

ე) საერთაშორისო სარეკლამო ფესტივალი. ფესტივალი გაიმართა 2015 წლის 24-27 სექტემბერს. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 50-მდე კომპანიამ 20-მდე ქვეყნიდან. ძირითად სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ რეკლამაში, მარკეტინგში, საზოგადოებასთან ურთიერთობაში მოღვაწე ადამიანები, ასევე, ბიზნესმენები, მეწარმეები და სახელმწიფო სტრუქტურებში ჩართული სპეციალისტები, რომელთათვისაც მნიშვნელოვანი იყო ცოდნის გაღრმავება მარკეტინგული კომუნიკაციების სფეროში. 4 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საერთაშორისო ვორკშოპები, სემინარები, მასტერკლასები.

ვ) ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალი გაიმართა მიმდინარე წლის 2 ნოემბრიდან 2015 წლის 4 ნოემბრის ჩათვლით. მოეწყო ქართული და უცხოელი შემსრულებლების კონცერტები, სადაც გაჟღერდა ამ ქვეყნების ავთენტური ფოლკლორული მუსიკა. გაიმართება სამეცნიერო კონფერენცია ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის შენარჩუნება-განვითარებაზე. მონაწილეობდა არანაკლებ 5 უცხოური და 10 ქართული ანსამბლი.

➤ მიღწეული შედეგები:

პროგრამის ფარგლებში ჩატარებული საერთაშორისო ფესტივალების შედეგად გაიზარდა ქალაქის ცნობადობა საერთაშორისო მასშტაბით;

გაიზარდა ინტერესი უცხოელი შემსრულებლების ბათუმის საერთაშორისო ფესტივალების მიმართ.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 6,027.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 5,961.3 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 98.9%.

➤ პროგრამის აღწერა:

ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები და კონცერტები.

18-19 თებერვალი - ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი მიწვეული იყო - ქ. თბილისში, ცნობილი მომღერლისა და ლოტბარის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის რამინ მიქაბერიძის საიუბილეო საღამოზე.



23-27 თებერვალი - ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“-მა მონაწილეობა მიიღო - უკრაინაში, ქ.კიევში გამორჩენილი ქორეოგრაფისა და ბალეტმაისტერის პავლე ვირსკის საიუბილეო საღამოზე.

1-2 მაისი - ქალთა კამერული გუნდის გასტროლი თბილისის საგუნდო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე.

10-14 ივლისი - ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმი“- მიწვეული იყო ლატვიაში, ქალაქ იურმალაში, კულტურის სფეროში დადებული საპარტნიორო პროექტის შესასრულებლად.

12 დეკემბერი - ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტი ქ.თბილისში, რეზო ჭანიშვილის საიუბილეო საღამოზე."

ქორეოგრაფიული ანსამბლისათვის შექმნილი იქნა იმერხეულის, ფარიკაობის, ხორუმის, მთიელ ქალ-ვაჟთა, თუშური, დაისის სასცენო კოსტიუმები, მუსიკოსების კოსტიუმი, და სხვა საჭირო აქსესუარები.

დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები - ბათუმის ბონის კულტურის სახლში გაიმართა ტრადიციულად დედის დღის აღსანიშნავი საზეიმო საღამო. საღამოში მონაწილეობა მიიღო ბათუმის კულტურის ცენტრის შემოქმედებითმა ჯგუფებმა - ენვერ ხაბაძის სახელობის ქორეოგრაფიული ანსამბლი, ხალხურ საკრავიერ ინსტრუმენტალისტთა ტრიო, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი და ქალთა ფოლკლორული ანსამბლი. მრავალშვილიან დედებს გადაეცათ ყვავილები და საჩუქრები.

იუნკერთა ხსოვნის დღე ბათუმის განთავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად ბათუმის დრამატული თეატრის მიმდებარე მოედანზე ტრადიციულად შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. "კულტურის ცენტრის" შემოქმედებითმა კოლექტივმა - სასულე ორკესტრმა შეასრულა მარშები. მემორიალი შემკობილი იქნა გვირგვინითა და ყვავილებით.

9 მაისი- ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავის ასაღნიშნად ბათუმში მცხოვრები ომის ვეტერანები გმირთა ხეივანში შეიკრიბნენ. მემორიალი შემკობილი იქნა ყვავილებით, სასულე ორკესტრმა შეასრულა სხვადასხვა მარშები.

26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ღონისძიების ჩატარების ადგილი: მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის კოლონადებთან. მოეწყო აფხაზ მხატვართა გამოფენები, კონცერტი გაიმართა საბავშვო კოლექტივების და სტუდიების მონაწილეობით, ასევე წარმოდგენილი იქნა სოლო შემსრულებლების საკონცერტო ნომრები, მიმების წარმოდგენები, ღონისძიების თემის მიხედვით დამზადებული იქნა ბანერი და ბუშტები. საღამოს კი დასკვნითი კონცერტი პიაცაზე გაიმართა, სადაც კულტურის ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები მონაწილეობდნენ.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები: 1 ივნისს ქალაქის სხვადასხვა ადგილას მიმდინარეობდა საბავშვო წარმოდგენები, ასევე დღის განმავლობაში ქალაქის ქუჩებში იყო კოსტუმირებული მსვლელობები, თეატრალური წარმოდგენები და ბოლოს ღონისძიება დასრულდა დასკვნითი კონცერტით რომელიც 6 მაისის პარკში გაიმართა.

ბათუმობის დღესასწაული - ბათუმობის დღესასწაული აღინიშნა 5-6 სექტემბერს. ნიკოლოზ რაჭველი მემანიშვილის დირიჟორობით ჩატარდა მუსიკალური წარმოდგენა „მსოფლიო კინომუსიკის შედეგები - მეხსიერების ბარათი“. მოეწყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ VI.



გაფორმებული და მოწყობილი იქნა დუმბაძის ქუჩა, მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, ანბანის კოშკთან 2 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ქართველი საესტრადო მომღერლების და ჯგუფების საკონცერტო პროგრამა. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო თითების თეატრის წარმოდგენები და სხვადასხვა გასართობი პროგრამები. ღონისძიება მოიცავდა ასევე მოწვეული დელეგაციის წარმომადგენლობით ხარჯებს.

საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ევროპის მოედანზე ყოველდღიურად იმართებოდა სხვადასხვა ჟანრის კონცერტები, ეს იყო სხვადასხვა როკ-ჯგუფების, სოლო შემსრულებლების, საბავშვო სტუდიების და სხვათა მონაწილეობით: მოეწყო თითების თეატრის წარმოდგენა, ცეცხლოვანი შოუ, ასევე პოეტების პერფორმანსი, ერას მოედანზე ყოველდღიურად იმართებოდა შემდეგი როკ ჯგუფების კონცერტები: „ბაბილონი“, „ფემილიზენდი“, „მაო ძედუნი“, „ნემო“, „სისაიდი“, „სთრით დენს“, კონცერტში მონაწილეობა მიიღო ნანა მესხმა, აჩიკო ბერიძის ტრიომ, ჯგუფმა „ნოტამ“. საახალწლო კონცერტების დასკვნითი ნაწილი - ილია ჭავჭავაძის დრამატულ თეატრში სოფო ხალვაშის და ბენდის კონცერტით დასრულდა.

საახალწლო ღონისძიებები (დეკემბერი) - ახალი წლის ღონისძიების ორგანიზებაზე მომსახურება მოიცავდა პოლიგრაფიულ მომსახურებას, სცენის დეკორირებას, გახმოვანების აპარატურით მომსახურებას, ტრანსპორტით უზრუნველყოფას და სხვა. საახალწლო პროგრამებში მონაწილეობდა სხვადასხვა ჯანრის შემსრულებლები. საახალწლო ღონისძიების ფარგლებში სოციალურად მოწყვლადი კატეგორიისათვის შეძენილი იქნა 1041 სურსათის სასაჩუქრე ნობათი.

პროექტი ფარგლებში ტურისტულ სეზონზე მოეწყო სხვადასხვა გასართობი, კულტურული და სანახაობრივი ღონისძიებები. მათ შორის: პოპ მუსიკის, ფოლკლორის, როკისა და ბლუზის, თეატრის, კლასიკური და თანამედროვე მუსიკის დღეები. ღონისძიებებში მთელი სეზონის განმავლობაში ჩართული იყო პოპულარული ქართველი და უცხოელი შესრულებლები. მსმენელებს მიეცა სხვადასხვა ჟანრის ხარისხიანი მუსიკის მოსმენის შესაძლებლობა. სეზონის განმავლობაში ქუჩის მუსიკოსები და ქუჩის მოცეკვავეები ბათუმის ქუჩებში ქმნიდნენ სადღესასწაულო განწყობას, მოეწყო გამოფენები, თეატრალური წარმოდგენები, გაიმართა ფოლკლორული კონცერტები, რომელშიც მონაწილეობას მიიღო ფოლკლორულმა ანსამბლებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. გაიმართა მოწვეული ქუჩის ორკესტრების მუსიკალური მსვლელობა ბათუმის ქუჩებსა და ბულვარში. საზაფხულო თეატრსა და ღია საკონცერტო სივრცეებში გაიმართება ცნობილი ანსამბლებისა და შემსრულებლების კონცერტები. მოეწყო მსოფლიო დონის მუსიკოსების შოუ და სხვადასხვა ქართული ბენდების კონცერტები, თემატური კარნავალები, მოძრობის თეატრი, ქუჩის თეატრის დღეები, კოსტიუმირებული მსვლელობები და საბავშვო სპექტაკლები. ჩატარდა კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი და ღია კინოჩვენებების ფესტივალი,

13 თებერვალი - სომხურ-ქართული საზოგადოება - ჩვენი სახლი საქართველოს მიერ ახალგაზრდობის დალოცვის საერთაშორისო დღისა და „სურბ სარგისას“ დღესასწაულის აღნიშვნა. აღნიშნულზე გაწეული იქნა დარბაზის იჯარის ხარჯი, სუვენირების და წამყვანის მომსახურების.

3 მარტი - სომხურ-ქართული საზოგადოების მიერ მოეწყო დედის დღისადმი საზეიმო საღამო, რომელიც გაიმართა მეგობრობის სახლში, ქალბატონებისათვის შეძენილი იქნა სუვენირები.



9 აპრილი - ებრაელთა სათვისტომოსთვის პესეხის ღონისძიებასთან დაკავშირებით გაწეული იქნა სადღესასწაულო სუფრის ხარჯი

9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, სომხური და რუსული დიასპორის მიერ დაგეგმილი ღონისძიების ფარგლებში ვეტერანებისათვის მიწოდებული იქნა სასურსათე პროდუქტები და ყვავილები

25-30 მაისი - უკრაინული დიასპორის მიერ ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: „პოეზიის საერთაშორისო დღე „ო, საქართველოვ, შენით ბრწყინდება ჩემი ოცნებები! შენ მთლიანად შთაგონება ხარ!“ და შეხვედრა-საღამო უკრაინის გმირთან, სახალხო არტისტთან ნინა მატივენკოსთან.

31 მაისი - სომხური დიასპორის მიერ საქართველოსა და სომხეთის ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნა..მაისი- თურქული დიასპორის მიერ ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით გასართობი ცენტრების მომსახურება (50 ბავშვზე) .

13 ივნისი - , საზეიმო პროგრამა მიძღვნილი იყო ს.ე. ესენინის 120 წლისთავისადმი.

25 ივნისი – ლექცია „ბათუმის ბერძენთა ისტორია“ – მომხსენებელი. ზ. მარგიევი

13 ივნისი - რუსული დიასპორის მიერ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოწვეული იქნა თბილისის ნორჩ მაცურებელთა თეატრის რეჟისორი, მოეწყო კონკურსი ბავშვებისათვის სადაც გამარჯვებულებს გადაეცა ფასიანი საჩუქრები.

20 აგვისტო - უკრაინის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

21 სექტემბერს რესტორან „პორტო-ფრანკოში“ აღინიშნა სომხეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც მოწვეული იყვნენ მთავრობის წარმომადგენლები და ხელმძღვანელი პირები და სომხური დიასპორის საზოგადოება.

23 სექტემბერს ყურბან ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით შეძენილი იქნა საქველმოქმედო სასურსათე ნობათი,

26 სექტემბერს ბერძნული დიასპორის წარმომადგენლებმა განახორციელეს ქათული კულტურული და ისტორიული ძეგლების მონახულება ქუთაისში (გელათი, ბაგრატის ტაძარი, პრომეთეს მღვიმე, მოწამეთა). ღონისძიების ხარჯი მოიცავს სატრანსპორტო და გიდის მომსახურებას.

28 სექტემბერს ქართულ-უკრაინული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ედნისტ“-ის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოეწყო საზეიმო საღამო.

24 ოქტომბერს გერმანულმა დიასპორამ აღნიშნა გერმანიის ეროვნული ზეიმის – ქვეყნის გაერთიანების დღეს, აღნიშნულთან დაკავშირებით მოწვეული იყვნენ სტუმრები გერმანიის საელჩოდან, მოეწყო საზეიმო ვახშამი.

28 ოქტომბერი – ბერძნულმა დიასპორამ აღნიშნა ოხის დღე, მოეწყო საზეიმო სუფრა.

16 ნოემბერს უკრაინულმა დიასპორამ აღნიშნა ტოლერანტობის საელთაშორისო დღე, რომლის ფარგლებშიც სათნოების სახლისა და ჩვილ ბავშვთა სახლისათვის შეძენილი იქნა სურსათი, სხვადასხვა ჰიგიენური საშუალებები და საბავშვო სათამაშოები.

23 ნოემბერს სომხურმა დიასპორამ აღნიშნა სომხური დიასპორის საერთაშორისო დღე, საღამო გაიმართა საზეიმო ვითარებაში, მოხდა დიასპორის აქტივისტების დაჯილდოება, საღამოს უძღვებოდა წამყვანი.



13 დეკემბერს ებრაულმა დიასპორამ ხანუკის დღესასწაული აღნიშნა, რომლის ფარგლებშიც მომზადებული იქნა შესაბამისი საზეიმო სუფრა.

23 და 29 დეკემბერს ბერძნულმა დიასპორამ, დიასპორის წარმომადგენლების უმცროსი თაობა მიიწვია საბავშვო გასართობ ცენტრში, სადაც მოეწყო გასართობი შოუ-პროგრამა, პატარებს დაურიგდათ ტკბილეული

25-27 დეკემბერს რუსული დიასპორის მიერ, მეგობრობის სახლის დარბაზში მოწყობილი იქნა საახალწლო ზეიმი, მოხდა ბავშვების დაჯილდოება და სასაჩუქრე პაკეტების (საახალწლო ტკბილეული) გადაცემა, ასევე მოზრდილი თაობისათვის მოეწყო საზეიმო ვახშამი.

28 დეკემბერს აღინიშნა აზერბაიჯანელთა სოლიდარობის დღე, ღონისძიება საზეიმო ვთ დასრულდა. 30 დეკემბერს ბავშვებისათვის გასართობ ცენტრში მოეწყო საახალწლო ზეიმი.

27 დეკემბერს თურქული დიასპორის მიერ, ორგანიზებული იქნა ზეიმი საბავშვო გასართობ ცენტრში, სადაც მოეწყო გასართობი შოუ-პროგრამა, პატარებს დაურიგდათ ტკბილეული და სათამაშოები.

➤ მიღწეული შედეგები:

მოსახლეობის კულტურული მომსახურება, დამსვენებელთა და უცხოელ ტურისტისათვის კონცერტების ჩატარება;

განხორციელდა ნიჭიერი შემოქმედებითი ახალგაზრდობის მოზიდვა, აღზრდა და განვითარება, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის გაღრმავება.

ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაცია.

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 760.5 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 757.5 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 99.6%.

➤ პროგრამის აღწერა:

საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზება • საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა;

• საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა;

• საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული წიგნები, ჟურნალ-გაზეთების სტატიების ელექტრონული კატალოგები) შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

• საქართველოს და საზღვარგარეთის საბიბლიოთეკო ფონდების ელექტრონული ხელმისაწვდომლობის უზრუნველყოფა;



• მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერენეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

• საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად. ბიბლიოთეკა შეუფერხებლად და ეფექტურად მუშაობს, თანამშრომლებს მუშაობისათვის შექმნილი აქვთ ყველა პირობა. გაზრდილია მკითხველთა და დამსწრეთა რაოდენობა. საბიბლიოთეკო პროცესების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობისათვის შეიქმნა ელექტრონულ მონაცემთა ბაზები, ვებ-საიტი და სპეციალური პროგრამების სრულყოფილი მუშაობისათვის ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები და გაეწიათ კონსულტაციები. "

კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების ორგანიზება • ახალგამოცემული წიგნების წარდგენები, ლიტერატურული საღამოები, შემეცნებითი დისკუსიები, ცნობილი მწერლების დაბადების დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები, ბათუმში მოღვაწე შემოქმედ, დეაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები, ღირსშესანიშნავი თარღებისადმი მიძღვნილი საღამოები „ბიბლიოთეკის კვირეული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო-საახალწლო შეხვედრები, მხატვრული, დოკუმენტური და ანომაციური ფილმების ჩვენებები, საკლუბო შეხვედრები

დაგეგმილი ღონისძიებების უზრუნველყოფა საჭირო მასალებით (მოსაწვევები, სიგელები, კონვერტები, ყვავილები, სამახსოვრო საჩუქრები). (ჩატარდება 70 კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიება და 96 საკლუბო შეხვედრა. ამერიკულ კუთხეში სექტემბრის თვიდან წლის ბოლომდე რემონტის ჩატარების გამო შეფერხდა 9 კლუბის ფუნქციონირება).

ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების შექმნა წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, რუქები, აუდიო-ვიდეო და ფოტო მასალები. ყოველწლურად იზრდება საბიბლიოთეკო ფონდი გაიზრდება 9 500 ერთეულით).

წიგნის ელექტრონული კატალოგი, ელექტრონული ბაზები განთავსებულია ბიბლიოთეკის ვებ-საიტზე ([www.bpl.ge](http://www.bpl.ge)).

➤ მიღწეული შედეგები:

გაიზრდა ბიბლიოთეკის ფონდი მკითხველთა მოთხოვნილებათა და სავალდებულო ეგზემპლართა გათვალისწინებით;

გაიზარდა საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული ბაზის მონაცემთა რაოდენობა და მიმართულებები;

მოეწყო კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებები, საკლუბო შეხვედრები, სპეციალიზებული სემინარები და ტრენინგები.

ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1,194.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,158.2 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97.0%.

➤ პროგრამის აღწერა:



ბალის მოვლა-პატრონობის ღონისძიებათა სამუშაოების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. ეგზოტურ მცენარეთა კოლექციის ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა მცენარეთა ინვენტარიზაციის სავლე სამუშაოები. შეგროვდა, შეიკერა და გაფორმდა სხვადასხვა სახის ჰერბარიუმი. დაიწყო და გრძელდება ინვენტარიზაციის პროცესი. სამეურნეო, აგრო-ტექნიკური და რეაბილიტაციის ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში მოხდა მცენარეთა განთავისუფლება თოვლისგან, ნარჩენი ბიომასის გამოტანა-დამუშავება. სისტემატურად იწმინდებოდა სამანქანე გზები, ტურისტული მარშუტები, მოედნები, ბილიკები, სანიაღვრე და სადრენაჟე არხები. 5 000 კვ.მ ტერიტორიაზე ჩატარდა დეზინფექციისა და დერატიზაციის სამუშაოები. დასრულდა ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები. ბალის მოთხოვნის შესაბამისად ხორციელდებოდა სანტექნიკური და ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები, მოხდა ელ.გადამცემი ბოძების გამაგრება, დამონტაჟდა ახალი ელ.ტრანსფორმატორი. პროგრამის ფარგლებში შეძენილია: სანტექნიკური, საკანცელარიო, ელექტრო და სამშენებლო მასალები, სამეურნეო და ჰიგიენური საქონელი. ბალის პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო ტანსაცმელით და ფეხსაცმელით. საგარეო ურთიერთობებთან და ორგანიზაციულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში ბაღმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ბოტანიკური ბაღების მე-9 კონგრესში, რომელიც გაიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებში მისურის ბოტანიკურ ბაღში. ასევე, ბაღი მონაწილეობდა საფრანგეთის რესპუბლიკის ქალაქ პარიზში ევროპის ბოტანიკური ბაღების მე-7 საერთაშორისო კონგრესში. განხორციელდა ბალის ტერიტორიაზე არსებული საინფორმაციო დაფების, ბილბორდების და ლაითბოქსების აღდგენა-რესტავრაცია. ბაღმა მონაწილეობა მიიღო თბილისსა და ბათუმში გამართულ ტურისტულ გამოფენებში. მომზადდა და განხორციელდა ორივე ეტაპი პროექტისა "უფრო ახლოს ბუნებასთან", რომელშიც მონაწილეობა მიიღო 160-მა მოსწავლემ. ბოტანიკურ ბაღში ბამბუკის და კამელიების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით გაიმართა გამოფენები. მოეწყო კინოჩვენებები და გაიმართა ფოტოკონკურსი. სანერგე და სასათბურე მეურნეობის ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში მოხდა მაღალი დეკორატიული ღირსების მქონე მცენარეთა სტანდარტული ნერგების გამოყვანა სარეალიზაციოდ, ჩატარდა გეგმიური ცელვა, გადაზრდილი ხე-მცენარეების მოჭრა და კუნძების ამოძირკვა. მიმდინარეობდა მიწის გაფხვიერება, შეწამვლა, ორგანული სასუქით მიწის გამდიდრება, განხორციელდა ნერგების მომზადება, შეფუთვა რეალიზაცია. დასრულდა ზღვისპირა პარკში გზის ერთი ნაწილისა და დასვენების სივრცის სამშენებლო სამუშაოები: განხორციელდა წყაროს, მაყალის ფანჩატურის, ტურისტული ბილიკებისა და დასვენების სივრცის რეაბილიტაცია. განხორციელდა ბალის ტერიტორიაზე ინტერნეტისათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის მონტაჟი, ინტერნეტის შიდა ქსელში ჩართულია: შემოსასვლელი სალაროები, ლაბორატორიული კორპუსი, ბიბლიოთეკა, დაცვის სამსახური. ასევე, ზღვისპირა პარკი და კავკასიური განყოფილების საპიკნიკე ტერიტორია ჩართულია WIFI-ს დაფარვის ზონაში. დასრულდა მწვანე კონცხზე #1 სალაროსთან ახალი საპირფარეშოების მშენებლობის და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის პირველი ეტაპი. ავსტრალიურ ზონაში დასრულდა ტურისტულ-სამარშუტო გზისა და ბილიკის მშენებლობა. განხორციელდა ზედა პარკში მუდმივმოყვავილე სკვერის რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოები. მოხდა ამიერკავკასიის განყოფილებაში არსებული ტბის გაწმენდა და დაზიანებული ფსკერის შეკეთება. მომზადდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების



საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. განახლდა მატერიალურ ტექნიკური ბაზა. შეძენილია 7 ერთეული პერსონალური კომპიუტერი, 2 ცალი მოლის საკრეჭი მანქანა, 1 ცალი ნარჩენების მაქსიმალური და სხვა საშუალებები.

➤ მიღწეული შედეგები:

განახლდა და კეთილმოეწყო ბოტანიკური ბაღის ინფრასტრუქტურა;

გაღრმავდა ორგანიზაციის, სამეცნიერო კავშირები, გააქტიურდა სამეცნიერო მუშაობა და შეივსო ბაღის ფლორისტული განყოფილებები. ჩატარდა გეგმიური ღონისძიებები მცენარეთა დაცვის მხრივ, დაზუსტდა ბაღის მცენარეთა კოლექციის ნუსხა;

გაიზრდა დამთვალეიერებელთა რაოდენობა, ბაღში ჩატარდა საგანმანათლებლო აქტივობები.

შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 07)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახური.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 1,030.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 1,029.9 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 100.0%.

➤ პროგრამის აღწერა:

შპს "შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი"-ს სუბსიდირების მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან გადარიცხა 824200 ლარი. შპს "შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი"-ს კაპიტალის ზრდის მიზნით მიმდინარე სარემონტო სამუშაოების უზრუნველსაყოფად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტიდან გადარიცხა 205 746 ლარი.

➤ მიღწეული შედეგები:

უზრუნველყოფილია შპს "შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ფუნქციონირება. ჩატარებულია მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.

თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 11)

➤ პროგრამის განმახორციელებელი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მერის ადმინისტრაცია.

➤ პროგრამის ფინანსური მაჩვენებლები:

დაზუსტებული გეგმა - 130.0 ათასი ლარი; საკასო შესრულება - 126.4 ათასი ლარი; შესრულების პროცენტი - 97.3%.

➤ პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში "ქვეპროგრამა ითვალისწინებს კონკურსის წესით ინიციატივების შერჩევას - საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ შერჩეული იქნა 16 განაცხადი. კერძოდ:

ა) პროექტი - შშმ თეატრალური დასის „ცისარტყელას“ სპექტაკლის - „ჩხიკვთა ქორწილის გასტროლი თბილისის ილიას უნივერსიტეტში“. პროექტი ითვალისწინებდა შშმ ბავშვების თეატრალური დასის „ცისარტყელას“ სპექტაკლის





"ჩხიკვათა ქორწილის" გასტროლებს ქ. თბილისში ილიას უნივერსიტეტში. პროექტი განახორციელა ა(ა) იპ „ინკლუზიური და ინტეგრირებული განათლება-თანადგომამ“. სახელშეკრულებო თანხა - 6700 ლარი. ფაქტიური შესრულება 6700 ლარი.

ბ) პროექტი - „ბათუმის ახალგაზრდები - არამაღადობრივი საზოგადოებისათვის“. პროექტის ფარგლებში ბათუმის 6 სკოლაში ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ფორუმ-თეატრი, გაიმართა 6 წარმოდგენა, ძალადობის საკითხზე ჩატარდა ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20-მა ახალგაზრდამ. ჩატარდა 3 მასტერკლასი ფორუმ-თეატრის მეთოდოლოგიის დასაუფლებლად. 300-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ფორუმ-თეატრის წარმოდგენებში და შესაბამისად ძალადობის პრობლემებთან დაკავშირებულ დისკუსიებში. პროექტი განახორციელა ფ/პ ნათია კიკვაძემ. სახელშეკრულებო თანხა - 4865 ლარი. ფაქტიურად შესრულება -4765 ლარი.

გ) პროექტი - „ქართველი და უცხოელი მხატვრების ერთობლივი პლენერი“. პროექტის ფარგლებში გაიმართა ქართველი და უცხოელი მხატვრების ერთობლივი პლენერი, პლენერის ფარგლებში შეიქმნა ნამუშევრები, მოეწყო ექსკურსია, გაიმართა დასკვნითი გამოფენა. პროექტის განხორციელების ვადები: 2015 წლის მაისი - ივლისი; პროექტი განახორციელა ა(ა)იპ „ახალგაზრდები მომავლისათვის“ სახელშეკრულებო თანხა 7568 ლარი. ფაქტიური შესრულება - 7040, 65 ლარი.

დ) პროექტის - „მონო პიესების ფესტივალი“. პროექტის ფარგლებში შეირჩა დრამატურგები, რომლებაც დაწერენ მონო-პიესები მონო-ფესტივალისთვის. შემდეგ შეირჩა რეჟისორები და მსახიობები. დაიდგა 5 სპექტაკლი, რომელიც გაიმართება სხვადასხვა სივრცეებში. პროექტი განახორციელა ა(ა)იპ „Art way“. პროექტი ხორციელდებოდა ამა წლის 4 ივნისიდან 30 ივლისის ჩათვლით. სახელშეკრულებო თანხა -10 000 ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა - 9999,38 ლარი.

ე) პროექტი - „ჩვენი გარემო-ჩვენი სიამაყე“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა. მოეწყო მუსიკალური პერფორმანსები, ქალაქის დაბინძურების პრობლემებზე მოხდა სიუჟეტების გადაღება, შეიღება 7 ნაგვის ურნა, პროექტში ჩართული იყო მოხალისეები. ასევე მოეწყო შედეგების პრეზენტაცია და დაჯილდოვდნენ კონკურსში გამარჯვებული მონაწილეები. პროექტი განახორციელა ა(ა)იპ „პრესკაფემ“. პროექტი განხორციელდა ამა წლის 8 ივლისიდან 14 ოქტომბრის ჩათვლით. სახელშეკრულებო თანხა 7433 ლარი. ფაქტიური შესრულება - 6393 ლარი.

ვ) პროექტი - „საზაფხულო სკოლა მოდებატეებისათვის ბორჯომი -2015“ - პროექტის ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიმოთესუბანში არსებულ „ეკო-კოტეჯებში“ მოეწყო საზაფხულო სკოლა, სადაც განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები: ტრენინგები, ლექცია-სემინარები, ჩემპიონატი დებატებში და კულტურულ გასართობი ღონისძიება (ექსკურსია-ლაშქრობა). სკოლის მსმენელები იყვნენ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები (სულ 36 მონაწილე). პროექტი განახორციელა ა(ა)იპ „აჭარის დებატების კლუბმა“. პროექტის განხორციელების ვადები: ივლისი-აგვისტო. სახელშეკრულებო თანხა-9998,10. ფაქტიური შესრულება - 9998.1 ლარი.

ზ) პროექტი - „ეკოლოგიური ცნობიერება და გარემოსდაცვითი განათლება“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა სემინარები, მოეწყო დისკუსიები, სადაც წარმოჩნდა ბათუმის ეკოლოგიური პრობლემები, ამაღლდა სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების ეკოლოგიური ცნობიერება და ეკოლოგიური კულტურა, სტუდენტები გაეცნო აგროსერვისცენტრის ეკოლოგიურ ბიოპროდექსს, ქალაქის სანდასუფთავებისა და ბათუმის წყლის ადლიის გამწმენდი ნაგებობის მუშაობის პრინციპებს. პროექტი



განხორციელდა ამა წლის - 22 სექტემბერიდან - 28 სექტემბერის ჩათვლით. პროექტი განახორციელა ფ/პ ნინო ლომთათიძემ. სახელშეკრულებო თანხა - 1940 ლარი. ფაქტიური შესრულება - 1579.93 ლარი.

